ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

სერგო რატიანი: „ივანიშვილი ცდილობს, თავისი პარტია პოლიტიკური სახეებისგან გაწმინდოს“

გვ.2




15 ივლისიდან
ანტუან დე სენტ-ეგზიუპერი
სამხედრო მფრინავი
ფასი გაზეთთან ერთად 11 ლარი



პარასკევი, 15 ივლისი, 2016 №166 (7092) ფასი: 50 თეთრი

# გია ხუხაშვილი: „ახალი სახეები კოღუაშვილის ბედს გაიზიარებენ“

გვ.2




„ქართული ოცნების“ მთავარი მოკავშირე ნაცმოძრაობაა“



ისლამურმა სახელმწიფომ წითური გენერლის დაღუპვის ფაქტი დაადასტურა

## „თარხან ბათირაშვილმა ცხინვალში ნახა ისეთი რამე, რაც არ უნდა ენახა“



გვ.4



## მამუკა მდინარაძე: „ქართულმა ოცნებამ“ ფსონი ახალ სახეებზე გააკეთა“

„ძველი სახეები კმაყოფილებას გამოთქვამენ, რომ გუნდი განახლდა და გაძლიერდა“

„არ ვიცი, სიაში მერამდენე ვიქნები“

გვ.3




გვ.6

## კობა დავითაშვილის ცემა სპეცრაზმელებს ზურაბ ადეიშვილმა დაავალა

## დიმიტრი ლორთქიფანიძე: „საქართველოს უბლოკო სტატუსის შემთხვევაში რუსეთმა სოხუმიდან და ცხინვალიდან ჯარები უნდა გაიყვანოს“

გვ.5



გვ.4



## კახა კუკავა: „მარგველაშვილმა ოპოზიციის რესურსები გაანახევრა“

„უცხოური დიპლომებით თავის მოწონება სერიოზული ქაჯობაა“



გვ.7

## ავიგდორ ესკინი: „რუსეთთან ურთიერთობის დალაგება საქართველოს ინტერესებშია“

„ნეთანიაჰუს სურს, წინააღმდეგობა გაუწიოს მცდელობას, თავს მოახვიონ ისრაელს ფერადი რევოლუციები“

## 100-მილიონიანი (აშშ დოლარი) ინვესტიცია მაგთიკომის წილად

მაგთიკომი
MAGTICOM

European Bank for Reconstruction and Development

გვ.6

ISSN 1987-9385
9 771987 938006

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# გია ხუხაშვილი: „ახალი სახეები კოლუაშვილის ბედს გაიზიარებენ“

## „ქართული ოცნების“ მთავარი მოკავშირე ნაცმოძრაობაა“

შორენა მარსაგიშვილი

რა შეცდომა დაუშვა ხელისუფლებამ საარჩევნო სიის ფორმირებისას, რის ხარჯზე შეუძლიათ მათ არჩევნებში წარმატების მიღწევა, რაში დაემსგავსა „ოცნება“ ნაცმოძრაობას? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ ექსპერტი გია ხუხაშვილი ესაუბრება.

**გია ხუხაშვილი:**

– „ქართული ოცნების“ მიერ წარდგენილი 15 ახალი სახის მიმართ პრეტენზია არ მაქვს და, დარწმუნებული ვარ, რომ ძალიან პერსპექტიული ახალგაზრდები არიან. ამის მიუხედავად, მიმაჩნია, ამ ეტაპზე ასპარეზზე მათი გამოყვანა წმინდა ტექნოლოგიური თვალსაზრისით გაუმართლებელია. ამ ადამიანებს არც ცნობადობა აქვთ და არც – საჯარო სივრცესთან კომუნიკაციის გამოცდილება. აქედან გამომდინარე, მათი გამოჩენა მაღალი რისკის შემცველია.

საარჩევნო სიის ფორმირების დროს, როგორც წესი, ყურადღება ექცევა ცნობადობას, დებატების უნარსა და საჯარო სივრცეში კომუნიკაციას. ამას სჭირდება დიდი დრო. ამ ადამიანების წინასაარჩევნოდ გამოყვანა მათი განწირვის ტოლფასია. ეს იგივეა, ღრმა ზურგიდან მებრძოლები ფრონტის წინა ხაზზე გადაისროლო, თან ისე, რომ არც სროლა ასწავლო.

„ქართულ ოცნებას“ პოლიტიკაში ახალი სახეების შემოყვანა თუ უნდოდა, ეს პროექტი ერთი წლით ადრე უნდა დაეწყო. სხვა თუ არაფერი, მათი ცნობადობის ხარისხი აიწევდა და საჯარო სივრცეში კომუნიკაციას შეეჩვეოდნენ.

***– საჯარო სივრცეში კომუნიკაცია რამდენჯერმე ახსენეთ და ასეთი გამოუცდელები არიან?***

– ნაციონალური მოძრაობის მიერ წარმოდგენილ ახალ სახეებთან შედარებით, მათ არანაირი გამოცდილება არა აქვთ. ადრე თუ გვიან ამ ახალ სახეებთან დებატები მოუწევთ. გამოცდილებიდან გამომდინარე, ნაცმოძრაობის ახალ სახეებს სერიოზული უპირატესობა აქვთ.

როდესაც გამოუცდელი ადამიანები ასპარეზზე ცხელ ფაზაში გამოგყავს, დიდია იმის ალბათობა, რომ მათ კოლუაშვილის სინდრომი დაემართოთ. ალბათ, ყველას გვახსოვს, რომ დავით კოლუაშვილმა პირველივე ინტერვიუს დროს სერიოზული შეცდომა დაუშვა და პოლიტიკურად თავი მოიკლა. ეს არის სერიოზული პრობლემა და ამ მიმართულებით ნაციონალური მოძრაობა „ქართულ ოცნებას“ 10:0-ს უგებს. ეს ყველაფერი მეტყველებს ერთ რამეზე – ხელისუფლებაში არ არის ადამიანი, რომელსაც შეუძლია, რომ რაღაც სისტემურად და გრძელვადიანად დაგეგმოს.



***– რატომ დააგვიანეს ახალი სახეების საჯარო სივრცეში შემოყვანა? თებერვლიდან აცხადებდნენ პარტიის ლიდერები, რომ საარჩევნო სიაზე აქტიურად მიდიოდა მუშაობა.***

– კი არ დააგვიანეს, ეჭვი მაქვს, რომ არავინ ჰყავდათ. მეჩვენება, რომ ეს ადამიანებიც ბოლოს ქაოტურად და სპონტანურად მოკრიბეს. როდესაც ვთქვი, რომ „ქართულ ოცნებაში“ გრძელვადიანად არაფერი იგეგმება, ეს მქონდა მხედველობაში. მათ ჰქონდათ კეთილი სურვილები, მაგრამ მათი განხორციელების არც ბერკეტი ჰქონდათ და არც – უნარი.

არის სხვა ხარვეზებიც. 15 ახალი ადამიანის შეყვანით „ქართული ოცნების“ შიგნით სერიოზული დაძაბულობა შექმნეს. პარტია არის ცოცხალი ორგანიზმი, სადაც მრავლად არიან ახალგაზრდები. ისინი არიან მოტივირებულები და პოლიტიკური კარიერის გაკეთება სურთ. „ქართულ ოცნებაში“ მყოფი ახალგაზრდები ამ წლების განმავლობაში უანგაროდ ემსახურებოდნენ პარტიას იმის იმედით, რომ ვილაც შეამჩნევდა მათ და კარიერას გაიკეთებდნენ. 15 ადამიანის გარედან მიყვანით ამ ახალგაზრდებს პირდაპირ უთხრეს, რომ პერსპექტივა არ აქვთ.

ასე მოხდა პოლიტსაბჭოსთან დაკავშირებითაც, როდესაც გიორგი კვირიკაშვილმა შიგნით კი არ მოძებნა მარგალიტები, არამედ გარედან შემოიყვანა ვილაცები. ხალხის გარედან მიყვანით პარტიამ ღიად განაცხადა, რომ მთელი ეს წლები არაფერი გვიკეთებია, არავინ გაგვიზრდია, მოახლოვდა არჩევნები, ახალი ხალხი მოგვყავს და ყველაფერი დავიწყეთ თავიდან.

მოქმედი პრემიერის მიმართ სიმპათიებით ვარ განწყობილი, მაგრამ მანაც არ იცის, რა არის პარტია. ის პარტიაში რომ შევიდა, იმავე დღეს გახდა მისი თავმჯდომარე. მას წარმოდგენა არ აქვს, როგორ იმართება პარტია. არც ის იცის, სად დევს ძალაუფლება, ხელი რომ მოჰკიდოს. ამ თვალსაზრისით ის ვერ იქნება ლიდერი.

***– ეს ყველაფერი რისი მანიშნებელია?***

– არასერიოზულობის, შეიძლებოდა, კიდევ უარესი შეფასება გამომეყენებინა. პირადად ჩემთვის ეს პროცესი კანონზომიერია. ქართულ ოცნებაში“ არ მეგულება არცერთი ადამიანი, რომელსაც პოლიტიკურად აზროვნება შეუძლია. ყველა მათგანი პოლიტიკაში შემთხვევით მოხვდა და ხელისუფლებაში ბიძინა ივანიშვილის მხრებით მოვიდა. გარდა იმისა, რომ თავად არაფერი ესმით პოლიტიკის, არც სწავლა უნდათ და არც აზრს ეკითხებიან ვინმეს.

***– პოლიტიკა არ იციანო, ამბობთ, ზემოთ გამოუცდელ ხალხზე ისაუბრეთ. ამ ყველაფრის გათვალისწინებით რა პერსპექტივა აქვს „ქართულ ოცნებას“ არჩევნებზე?***

– ამდენი უარყოფითის მიუხედავად, არსებობს 3 რაღაც, რაც მათ არჩევნების მოგების შანსს აძლევს. ამ სამიდან მათი დამსახურება არცერთი არ არის.

პირველი, რაც მათ უპირატესობას ანიჭებს, არის ნაციონალების მიმართ აგრესიული დამოკიდებულება. რამდენადაც პარადოქსულად უნდა ჟღერდეს, საარჩევნოდ ყოფილი ხელისუფლება „ქართული ოცნების“ მთავარი მოკავშირეა. არჩევნები გაკეთდება ცუდსა და უარესს შორის. მოქმედი ხელისუფლება წინამორბედზე ნაკლები უბედურებაა.

„ქართული ოცნების“ მეორე მოკავშირე არჩევნებზე მაჟორიტართა კორპუსია. მთავარი აქცენტი სწორედ მათზე კეთდება. ეს მაჟორიტარები არიან მერკანტილური ადამიანები, რომლებიც პარლამენტის მეშვეობით ცდილობენ საკუთარი ბიზნესების ლობირებას. ისინი პრაქტიკულად რაიონების მაყურებლები არიან, პარტიიდან პარტიაში დადიან და მხოლოდ საკუთარ სარგებელზე ფიქრობენ. მაჟორიტარებმა, რომლებიც ახლა „ქართულმა ოცნებამ“ უნდა წარადგინოს, წლების წინ ნაციონალების სახელით იყარეს კენჭი.

ხელისუფლების მესამე მოკავშირე ხალხში გამეფებული აპათია გახლავთ. სამწუხაროა, რომ სხვა პოლიტიკური პარტიებიც არ აძლევენ ხალხს ღირსეული არჩევანის გაკეთების საშუალებას.

„ქართული ოცნების“ გამარჯვება თუ ასე მოხდა, ეყრდნობა 3 ვეშაპს. სამივე მათგანი არის ნეგატივი. ეს განსაზღვრავს დღევანდელი სიტუაციის დრამატიზმს – ვერაფრით მოვახერხეთ იმ მანკიერი წრიდან გამოსვლა, რომელიც ჩვენს უახლოეს ისტორიას ახლავს თან.

***– მოდით, ისევ ახალ სახეებს დავუბრუნდეთ. მათზე გამუდმებით მიდიოდა საუბარი. თქვენ როგორ ახალ სახეებს ელოდით?***

– დაახლოებით ასე წარმომედგინა. სიის ფორმირება ჯერ არ დასრულებულა და, ალბათ, კიდევ ვიხილავთ ახალ სახეებს, სალომე ზურაბიშვილი რაღაც არაადეკვატურად გააქტიურდა და, მგონი, ისიც იქნება სიაში. იგივე შემიძლია ვთქვა კიდევ რამდენიმე ადამიანზე. სიაში შედარებით ასაკოვანი ახალი სახეებიც იქნებიან.

***– შედარებით ასაკოვნები იმ 15 კაცთან ერთად რატომ არ წარმოადგინეს?***

– მხოლოდ იმიტომ არ გამოაჩინეს, რომ ახალგაზრდული პრეზენტაცია იყო. ამის გარდა, აქცენტი უცხოეთში მიღებულ განათლებაზე გაკეთდა. ეს იაფფასიანი სვლაა. ასეთ რამეებს თავის დროზე მიხეილ სააკაშვილიც იყენებდა. ისეთი სახე მისცეს პრეზენტაციას, თითქოს ყველა მათგანს დასავლეთში სრულფასოვანი უმაღლესი განათლება ჰქონდეს მიღებული. სინამდვილეში საუბარია ერთწლიან კურსებსა და სერტიფიკატებზე. სიმართლე თუ უყვართ, ამასთან დაკავშირებით სიმართლე უნდა ეთქვათ. ჰარვარდზე რომ ლაპარაკობენ, იქ სრულფასოვან განათლებაზე არაა ლაპარაკი, საუბარია ერთწლიან გადამზადების კურსებზე.

საერთოდ, „ქართული ოცნება“ ძალიან დაემსგავსა ნაციონალურ მოძრაობას. ისინი ყოფილ ხელისუფლებას უნიჭოდ ბაძავენ. ამის ნათელი მაგალითი იყო ის ღონისძიება, რომელიც საგურამოში ჩატარდა.

ცოტა ხნის წინ უკრაინაში მყოფმა ჩვენმა ექსცენტრულმა თანამოქალაქემ დაიძახა, აღმაშენებლის გზას ვადგავართ და ნაცმოძრაობის ყრილობა დიდგორის ველზე უნდა ჩატარდესო. ამათ იფიქრეს, თხა თხაზე ნაკლებიო, ილიას გზას ვადგავართო და საგურამოს სახლ-მუზეუმში შეიკრიბნენ.

***– აშკარაა, რომ არ მოგეწონათ იქ გამართული პრეზენტაცია.***

– რა იყო იქ მოსაწონი? ამით ხალხს რა დაანახეს, რომ ილია ჭავჭავაძე სჯობია დავით აღმაშენებელს? ჯობდა, ოფისში შეკრებილიყვნენ და იქ წარედგინათ ახალი სახეები. ეს ბევრად ბუნებრივი იქნებოდა.

# გიორგი კვირიკაშვილი: „გვინდა დავანახოთ ევროპას, რომ საქართველო არ იქნება ქვეყანა, რომელიც პრობლემებს შექმნის“

– ნამდვილად დარწმუნებული ვართ, რომ დადგება დრო, როცა საქართველო გახდება ევროკავშირის სრულფასოვანი წევრი, – განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა ბათუმში, საერთაშორისო კონფერენციაზე „საქართველოს ევროპული გზა“ სიტყვით გამოსვლის დროს.



მისივე განმარტებით, საქართველომ შეასრულა ნაკისრი ვალდებულებები.

**გიორგი კვირიკაშვილი:**

– ჩვენ გვინდა დავანახოთ ევროპის ქვეყნებს, რომ საქართველო არ იქნება ქვეყანა, რომელიც პრობლემებს შექმნის, პირიქით, ხელს შეუწყობს ევროკავშირის გაძლიერებას, – აღნიშნა გიორგი კვირიკაშვილმა.

პრემიერ-მინისტრმა საქართველოს ისტორიულ მნიშვნელობაზე ისაუბრა და განმარტა, რომ „ევროპა არის საქართველოს წარსული და მომავალი“.

– ქართველები არ ცდილობენ, გარდაიქმნან ისეთად, რაც არასოდეს ყოფილან, ქართველები ნამდვილად არიან ევროპელები. ჩვენი კულტურა არის მიმანიშნებელი ამის და ჩვენი ისტორია ყოველთვის არის დაკავშირებული ევროპასთან. ევროპა არის ჩვენი წარსული, ევროპა არის ჩვენი მომავალი. ჩვენ გვესმის, რომ ძალიან ბევრი რამ უნდა გავაკეთოთ, ქართველები მზად არიან მაქსიმალური ძალისხმევა წარმართონ, რომ საქართველო ნამდვილად ჩამოყალიბდეს ევროპულ ქვეყნად. ჩვენი პროგრესი ამ მიმართულებით ძალიან მნიშვნელოვანია, საქართველო ახორციელებს იმ ვალდებულებებს, რომლებიც იკისრა ქვეყანამ, ეს ჩვენთვის არის გზამკვლევი, ტრანსპორტის, ეკონომიკის, მრეწველობის სფეროში რეფორმებისკენ. ჩვენ გადავსინჯეთ ჩვენი საკანონმდებლო ჩარჩო საკმაოდ ძირეულად, ვიზალიბერალიზაციასთან დაკავშირებული მოთხოვნები შევასრულეთ, – აღნიშნა გიორგი კვირიკაშვილმა.

ბათუმში ევროინტეგრაციის თემაზე მე-13 საერთაშორისო კონფერენცია გუშინ გაიხსნა. ღონისძიება ბათუმში ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის ორგანიზებით იმართება.

**ინტერპრესნიუსი**

# სერგო რატიანი: „ივანიშვილი ცდილობს, თავისი პარტია პოლიტიკური სახეებისგან გაწმინდოს“

ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წევრ სერგო რატიანის აზრით, ბიძინა ივანიშვილი „ქართული ოცნების“ პოლიტიკური სახეებისგან გაწმენდას ცდილობს.



როგორც რატიანმა „ინტერპრესნიუსს“ პარტია „ქართული ოცნების“ ახალი სახეების შეფასებისას განუცხადა, „ივანიშვილის ფონზე უცნობი სახელები არაფრისმთქმელია“.

**სერგო რატიანი:**

– ივანიშვილის სიაში ამჟამად არ არიან სპორტსმენები და მსახიობები, თუმცა ასევე, არ არიან მოქმედი პოლიტიკოსები. ივანიშვილი ცდილობს, არამარტო მის გარეთ, მისი პოლიტიკური ძალის შიგნითაც, პოლიტიკური სახეებისგან გაწმინდოს თავისი პარტია. ეს, რა თქმა უნდა, დამაზიანებელია ზოგადად დემოკრატიული განვითარებისთვის. მას სურს, თამაშში შემოიყვანოს უცნობი სახეები, ჯერჯერობით პოლიტიკური რეპუტაციის არმქონე სახეები, რასაც ის ხშირად, მინისტრების შემთხვევაშიც აკეთებდა.

რატიანმა დასძინა, რომ ივანიშვილს პოლიტიკაში შემოჰყავს ადამიანები, რომლებიც მისთვის არის ცნობილი და არა საზოგადოებისთვის.

**ინტერპრესნიუსი**

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# მამუკა მდინარაძე: „ქართულმა ოცნებამ“ ფსონი ახალ სახეებზე გააკეთა“

## „ძველი სახეები კმაყოფილებას გამოთქვამენ, რომ გუნდი განახლდა და გაძლიერდა“

ნათია ხურცილავა

„ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭოს წევრი **მამუკა მდინარაძე** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „ქართული ოცნების“ საპარლამენტო სიის ახალ სახეებსა და არჩევნების მოლოდინზე საუბრობს.

***– ბატონო მამუკა, 15 ახალი სახე წარადგინა პრემიერმა. ამასთან დაკავშირებით ძალიან ბევრი შეფასება გაკეთდა. „ქართულ ოცნებას“ თქვენ, დანარჩენი ახალი სახეები, რას მოუტანთ?***

– მმართველმა გუნდმა, მისმა ხელმძღვანელობამ ამ ადამიანებში ნახა პოტენციალი, რომ ისინი კარგ პოლიტიკოსებად ჩამოყალიბდებიან და წაადგებიან ქვეყანას. ეს ადამიანები თავიანთ სფეროში წარმატებულები არიან. მათ აქვთ კომპეტენცია და უნარები. „ქართულმა ოცნებამ“ ფსონი ამ ადამიანებზე გააკეთა და, დარწმუნებული ვარ, იმდენად კარგ, მოტივირებულ, ენერგიით სავსე, პატრიოტ ადამიანებთან გვაქვს საქმე, რომ ისინი მართლაც გამოადგებიან ქვეყანას.

***– თუმცა ეს ადამიანები საზოგადოებისთვის უცნობნი არიან, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ მათ აქვთ საჯარო სამსახურში მუშაობის გამოცდილება, ზოგი მათგანი მინისტრის მოადგილე იყო, დეპარტამენტების უფროსები და ა.შ.***

– დიახ, ეს ადამიანები იყვნენ საჯარო სამსახურში და ეს გამოცდილებაც აქვთ მათ, მაგრამ საზოგადოება მათ გაიცნობს უფრო ახლოს და ნახავს მათ საქმეებსაც.

***– საარჩევნო სიის განახლება იყო მთავარი გზავნილი, მაგრამ რაზე გაკეთდა მთავარი აქცენტი, როდესაც მოხდა ამ ადამიანების შერჩევა, რომ მათ დასავლეთში აქვთ განათლება მიღებული თუ ახალგაზრდები არიან და აქვთ სუფთა წარსული?***

– ამ შემთხვევაში არცერთი კონკრეტული კრიტერიუმისთვის აპრიორი არ იყო უპირატესობა მინიჭებული, რომ, მაგალითად შერჩევა მომხდარიყო, თუნდაც იქიდან გამომდინარე, რომ დასავლეთში აქვთ ამ ადამიანებს განათლება მიღებული.

შერჩევა მოხდა საერთო ღირებულებებიდან, ხედვიდან გამომდინარე. საუბარია უნარების ერთობლიობაზე, საუბარია იმაზე, რომ ეს ადამიანები ნამდვილად გამოადგებიან საზოგადოებას, საქმეს, ჩვენს ქვეყანას. მათ შორის იყო ის მახასიათებლებიც, რომლებიც თქვენ ჩამოთვალეთ. ყველას არ აქვს დასავლეთში განათლება მიღებული, მაგალითად, პირადად მე სამართლის დოქტორი ვარ, მაგრამ დოქტორანტურაც და მაგისტრატურაც საქართველოში დავიცავი.

***– დასავლურ განათლებაზე გაკეთდა აქცენტი და ამან საზოგადოების ნაწილში გარკვეული გაღიზიანება გამოიწვია.***

– ამიტომაც გეუბნებით, ეს რომ ყოფილიყო კრიტერიუმი, მე მათ შორის ვერ მოვხვდებოდი. აქ აქცენტი იყო უნარების ერთობლიობაზე და არა – მაინცდამაინც ამერიკულ ან ევროპულ დიპლომზე. ეს ის ადამიანები არიან, რომლებიც წარმატებულ რეფორმებს ჩაუდგებიან სათავეში.

ამ 4 წლის განმავლობაში იყო ბევრი შეცდომაც, მაგრამ ეს შეცდომები არ ყოფილა ისეთი, რომ ქვეყნისთვის განსაკუთრებული ზიანი მოეტანა. ამ გუნდს აქვს უნარი, ეს შეცდომები პოზიტივად გარდაქმნას.

***– ამ ფონზე ძველი სახეები ხომ არ განაწყენდებიან? თქვენ რა ინფორმაცია გაქვთ?***

– აბსოლუტურად არ ემთხვევა მედიაში გავრცელებული ინფორმაცია იმ რეალობასა და განწყობას, რომელიც გუნდშია.

***– რას გულისხმობთ?***

– გუნდის წევრები, რომლებმაც ქვეყანას მოუტანეს გარკვეული წარმატებები, კმაყოფილებას გამოთქვამენ, რომ გუნდი განახლდა და გაძლიერდა.



„არ ვიცი, სიაში მერამდენე ვიქნები“

***– ეს ადამიანები გუნდში რჩებიან?***

– ისინი მზად არიან, ჩვენთან ერთად გააგრძელონ პარტიის განვითარება და საქმის კეთება ქვეყნისთვის.

***– მიდიან თუ გუნდში რჩებიან?***

– ჩვენთვის არათუ გუნდის წევრის, ყველაზე რადიკალურად განწყობილი ოპონენტის აზრსაც აქვს მნიშვნელობა. ისინი აკეთებენ განცხადებებს, რომ თუ გუნდს გამოადგებიან, მათ ეს შეუძლიათ გააკეთონ ისე, რომ პარტიულ სიაში არ იყვნენ. ეს არის ჯანსაღი მიდგომა მათი მხრიდან. თუმცა, ამ ადამიანებისთვის არავის უთქვამს, რომ სადმე უნდა წავიდნენ.

***– ისინი გაურკვევლობაზე მიანიშნებენ.***

– პარტიული სიის ფორმირება ხდება ჩვეულებრივ, ნორმალურ ვითარებაში, ისე, როგორც ყველა პარტიაში ხდება. ეს არის ჩვეულებრივი პროცესი, მაგრამ არიან ადამიანები, რომლებიც ცდილობენ, ეს დაპირისპირებად მონათლონ. რაც შეეხება გაურკვევლობას, ჩემთვისაც გაურკვეველია, სიაში მერამდენე ადგილზე ვიქნები, მაგრამ ამას ჩემთვის მნიშვნელობა არ აქვს. გუნდი ყალიბდება იმ პრინციპით, თუ როგორ და სად გამოვადგეთ ჩვენს ქვეყანას. ჩემთვის მნიშვნელობა არ აქვს, 21-ე ვიქნები სიაში თუ მე-4.

***– საბოლოო სია როდისთვის იქნება, არის ცნობილი, მაჟორიტარულ ოლქებში ვინ არიან კანდიდატები, თუ ეს ჯერ კიდევ მუშა პროცესია?***

– ჯერ კიდევ მიმდინარეობს მუშაობა. შეჯერება ხდება. თუმცა, ძირითადი გადაწყვეტილებები უკვე მიღებულია. სანამ ბოლო გადაწყვეტილება არ იქნება მიღებული და პოზიციები შეჯერებული, ჩვენ შევთანხმდით, რომ წინასწარ ამ ინფორმაციას არ გავავრცელებდით.

***– არჩევნებამდე ორთვე-ნახევარი დარჩა და ამომრჩეველს აინტერესებს, ვინ იქნება მმართველი ძალიდან მის საარჩევნო ოლქში. საბოლოო ვარიანტი როდის იქნება ცნობილი?***

– ამ თვის ბოლომდე რამდენიმე რეგიონში მაჟორიტარი კანდიდატების წარდგენა იქნება და ასევე აღარ დარჩა ბევრი დრო, რომ საბოლოოდ დასრულდეს სიის ფორმირება და გამოქვეყნება.

***– როგორი მოლოდინები გაქვთ ამ არჩევნებისადმი? გასაგებია, რომ 2012 წლის არჩევნებისგან განსხვავებული არჩევნებია და ეს არ არის სამკვდრო-სასიცოცხლო დაპირისპირების არჩევნები.***

– 8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები იქნება პირველი რეალური არჩევნები. წინა პერიოდის არჩევნები იყო ან ბრძოლა, ან გაყალბება. ისინი არ იყო არჩევნები. ამომრჩეველს არჩევანი უნდა გაეკეთებინა თავისუფლებასა და რეჟიმს შორის.

8 ოქტომბრის არჩევნები კი იქნება უპრეცედენტოდ გამჭვირვალე, დემოკრატიული, არჩევნები, რომელშიც ერთი ამომრჩევლის ხმასაც ექნება მნიშვნელობა. სწორედ ამომრჩეველი გადაწყვეტს, თუ ვინ უნდა იყოს ადამიანთა ის ჯგუფი, რომელიც მათ მოემსახურება. აქამდე ეს განცდა არ იყო.

## დავით უსუფაშვილი: „ვიზალიბერალიზაციის საკითხი გადაწყვეტილია და წინასაარჩევნოდ პრობლემებს ნუ ააგორებთ“



– ვიზალიბერალიზაციის საკითხი გადაწყვეტილია და ამ თემისგან წინასაარჩევნოდ რაიმე პრობლემის აგორება არ იქნება სწორი, – განუცხადა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილმა ბათუმში მიმდინარე საერთაშორისო კონფერენციის „საქართველოს ევროპული გზა“ მიმდინარეობის დროს ჟურნალისტებს თემაზე კომენტირებისას.

მისივე განმარტებით, აღნიშნულ საკითხზე მიმდინარეობს კამპანია, თითქოს ევროკავშირმა უარი თქვა თავის დაპირებაზე, რაც არასწორია.

უსუფაშვილის თქმით, „ევროპულ ოჯახში არის თემები“, რომელსაც საქართველო გაგებით უნდა მოეკიდოს და გაითავისოს.

პარლამენტის თავმჯდომარემ ვიზალიბერალიზაციის თარიღთან დაკავშირებით საუბრისას ყველას „სიფრთხილისკენ“ მოუწოდა და განმარტა, რომ თარიღებმა არ უნდა განსაზღვროს საარჩევნო დღის წესრიგი.

**დავით უსუფაშვილი:**

– დაპირება სრულდება. უბრალოდ, ევროპულ ოჯახში არის თემები, რომლებსაც ჩვენც გაგებით უნდა მოვეკიდოთ. ერთი და ორი თვე უვიზო მიმოსვლის შეფერხება არ ნიშნავს ჩვენი სტრატეგიული გეგმების შეფერხებას, პირიქით, ეს არის კარგად მიღებული ევროპაშიც, რომ ჩვენ გვესმის მათი თემებიც. ეს არ არის ცალმხრივი დამოკიდებულება, ჩვენ ხელგაწვდილი არ მივდივართ მოგვეცით ეს და არ გვაინტერესებს რა ხდება მანდ. ჩვენ ვამბობთ, მოდით ხელი ჩავკიდოთ ერთმანეთს და ასე ვიაროთ უვიზოდ. მტკიცე და მკაფიო გზავნილი გვაქვს, რომ წლის ბოლოსთვის ქართველებს შეგვეძლება უკვე პრაქტიკულად სარგებლობა ამ უვიზო რეჟიმით. თარიღებთან დაკავშირებით ყველას მინდა ვთხოვო ვიყოთ ფრთხილი, რადგან სექტემბერში იქნება ეს გადაწყვეტილება თუ ოქტომბრის პირველ რიცხვებში, 5 ოქტომბერს თუ 9-ში, ეს ნაკლებად მნიშვნელოვანია, ამან არ უნდა განსაზღვროს ჩვენი საარჩევნო დღის წესრიგი.

ყველანი, ვინც ევროინტეგრაციის მომხრენი ვართ, თამამად შეგვიძლია წარვდგეთ ქართველი ხალხის წინაშე და ვთქვათ, რომ ვიზალიბერალიზაცია შემდგარი ფაქტია, მაგრამ მას სჭირდება გაფორმება.

**ინტერპრესნიუსი**

## გუკა რჩეულიშვილი: „ვაღიარებ, რომ ჩემი ხელმოწერები არის ამ დოკუმენტებზე და ეს დაკითხვის დროსაც ვთქვი, მაგრამ არ ვაღიარებ ბრალს“




გუკა რჩეულიშვილისთვის გაუგებარია, თუ რატომ შეიცვალა პროკურატურის განწყობები იმ საქმესთან დაკავშირებით, რომელზეც მას ბრალი აქვს წაყენებული. როგორც რჩეულიშვილმა სასამართლო პროცესზე განაცხადა, დაახლოებით 8 თვის წინ, როდესაც ის აღნიშნულ საქმეზე დაიკითხა, პროკურატურაში იყო განწყობა, რომ მათ იცოდნენ, თუ სად და როგორ დაიხარჯა თანხები, რომელთა გაფლანგვასაც გამოძიება ედავება.

**გუკა რჩეულიშვილი:**

– როდესაც პროკურატურაში ვიყავი დაკითხვაზე, სხვანაირი განწყობა ჰქონდათ, რომ იცოდნენ, სად წავიდა და როგორ დაიხარჯა ეს თანხები. ასეთი რამ დაფიქსირდა პროკურორის მიერ. დღეს კი რატომღაც შეიცვალა ეს განწყობა, არ ვიცი. მე ვაღიარებ, რომ ჩემი ხელმოწერები არის ამ დოკუმენტებზე და ეს დაკითხვის დროსაც ვთქვი, მაგრამ არ ვაღიარებ ბრალს.

რაც შეეხება სამართალდამცველებისთვის ჩაბარებისას მისთვის ფსიქოტროპული პრეპარატის აღმოჩენას, რაც პროკურორმა იმის არგუმენტად მოიყვანა, რომ გუკა რჩეულიშვილი დააკავეს, რჩეულიშვილმა განმარტა, რომ სამი აბი ფსიქოტროპული პრეპარატი ამერიკაში შეიძინა და სასჯელაღსრულების დაწესებულებაში შეყვანისას პრეპარატები თავად აჩვენა მათ.

აღკვეთის ღონისძიების დადასტურების პროცესზე გუკა რჩეულიშვილის ადვოკატმა მამუკა ჭაბაშვილმა კი ბრალდებულისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს 10 ათასი ლარის გამოყენების შუამდგომლობა დააყენა. ადვოკატმა სასამართლოს ასევე დამატებითი ღონისძიებების გამოყენება, მათ შორის პასპორტის ჩამორთმევისა და „ცენტრ პოინტში“ უფლებამოსილების განხორციელების შეზღუდვის ღონისძიებების გატარება შესთავაზა.

**ინტერპრესნიუსი**

## იოჰანეს ჰანი: „ვიმედოვნებ, საქართველოს ვიზალიბერალიზაციის პროცესი ოქტომბერში აუცილებლად დასრულდება“




ევროპული სამეზობლო პოლიტიკისა და გაფართოების საკითხებში ევროკომისარი იოჰანეს ჰანის იმედოვნებს, რომ საქართველოს ვიზალიბერალიზაციის პროცესი ამ წლის ოქტომბერში აუცილებლად დასრულდება.

ამის შესახებ იოჰანეს ჰანმა ბათუმში, სასტუმროში „ჰილტონი“ განაცხადა, სადაც მე-13 საერთაშორისო კონფერენცია „საქართველოს ევროპული გზა – სტაბილურობა, განვითარება, მრავალფეროვნება“ მიმდინარეობს.

– საქართველომ შეასრულა ყველა ის მოთხოვნა, რომლებიც ვიზალიბერალიზაციის მისაღებად იყო საჭირო. ეს მოხდა იმ წარმატებული რეფორმების ხარჯზე, რომელიც საქართველოს მთავრობამ გაატარა. მე მოუთმენლად ველოდები იმ დღეს, როდესაც საქართველოს მოქალაქეები ევროკავშირში გამგზავრებას უვიზოდ შეძლებენ. ვიმედოვნებ, რომ ეს პროცესი ამ წლის ოქტომბერში აუცილებლად დასრულდება, – განაცხადა იოჰანეს ჰანმა, რომლის კომენტარის ქართულ თარგმანს ტელეკომპანია „იმედი“ ავრცელებს.

**ინტერპრესნიუსი**

სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულისარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# კახა კუკავა: „მარგველაშვილმა ოპოზიციის რესურსები გაანახევრა“

## „უცხოური დიპლომებით თავის მოწონება სერიოზული ქაჯობაა“

ნონა ცაბაძე

ბოლო პერიოდის პოლიტიკურ პროცესებს „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში თავისუფალი საქართველოს ლიდერი **კახა კუკავა** აფასებს.

***— ბატონო კახა, ოპოზიცია საკმაოდ განაწყენდა პრეზიდენტის გადაწყვეტილებაზე, როდესაც მან სარეკლამო დროსთან დაკავშირებით კანონს ხელი მოაწერა. რა არ მოგეწონათ, რატომ იწუნებთ აღნიშნულ კანონს? ან რა იყო თქვენი განაწყენების მიზეზი?***

— ეს კანონი პრეზიდენტმაც დაიწუნა თავის დროზე, გააკრიტიკა. თქვა, რომ ის ხელს უშლის საქართველოში დემოკრატიულ პროცესს, თუმცა შემდგომში, როგორც ჩანს, მთავრობასთან დათბა ურთიერთობები. მთავრობის ზეწოლის თუ მთავრობისთვის სიამოვნების სურვილით, მან მაინც მოაწერა ხელი ამ კანონპროექტს და ეს სამწუხაროა.

***— რატომ არის სამწუხარო?***

— იმიტომ, რომ მარგველაშვილი მუდმივად ამაყობდა თავისი პრინციპულობით, თუმცა პრინციპულობა მას აღმოაჩნდა მხოლოდ იმ საკითხებში რაც შეეხებოდა პრეზიდენტის რეზიდენციას და მის საზღვარგარეთულ ვიზიტებს, ხოლო იმ საკითხებში, რაც უკავშირდება ქვეყნის ინტერესებს, იქნება ეს კანონი საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ თუ საარჩევნო კოდექსი, სამწუხაროდ, მან პრინციპულობა ვერ გამოავლინა.

***— რამდენად ზღუდავს ეს კანონი ოპოზიციური პარტიის უფლებებს?***

— ძალიან ზღუდავს, იმიტომ, რომ ოპოზიციის რესურსებში უფასო სარეკლამო დრო არის 90% და ფულში კონვენტირება რომ გააკეთოთ, ეს არის ყველაზე უფრო ძვირი და როდესაც ეს იზღუდება, გამოდის, რომ ოპოზიციის რესურსების პრაქტიკულად ნახევარი უკვე გამოთიშულია საარჩევნო კამპანიას. ამ კანონით მარგველაშვილმა ოპოზიციის რესურსები გაანახევრა.

***— კოალიციიდან გამოსული პარტიების ხარჯზე შეუმცირდა დანარჩენ ოპოზიციას სარეკლამო დრო?***

— დიახ, რა თქმა უნდა! ეს მოხდა რესპუბლიკელებთან გარიგების შედეგად.

***— რას გულისხმობთ?***

— ასე ვთქვათ, მოქრთამეს რესპუბლიკელები ამ უფასო სარეკლამო დროით, რომელიც ჩვენ წაგვართვეს, იმისთვის, რომ რესპუბლიკელებმა არ გამოუცხადონ უნდობლობა კვირიკაშვილის ცაბინეტს არჩევნებამდე დარჩენილ დროში.

***— რესპუბლიკელებზე საუბრობთ და მათმა მინისტრებმა უკვე დატოვეს მინისტრის სავარძელი, ერთი კი „ოცნების“ გუნდში გადავიდა. რა შანსები აქვს ამ პარტიას?***

— მე არ მგონია, რომ მათ ჰქონდეთ ბარიერის გადალახვის შანსი, თუმცა საარჩევნო კამპანია აქტიური პროცესია და ყველას შეუძლია შანსები გაზარდოს ან შეამციროს. ვნახოთ, ამას ქართველი ამომრჩეველი გადაწყვეტს.



***— „ქართულმა ოცნებამ“ 15 ახალი სახე წარადგინა. რამდენად გადახალისდა გუნდი?***

— მე ბევრს ვიცნობ მათგან, რამდენიმე ჩემი მეგობარიც არის ამ სიაში, მაგრამ მათ პერსონალურ შემადგენლობას მნიშვნელობა არ აქვს. იმიტომ, რომ ჩვენ ვიცით, მართვის ის სტილი, რომელიც არის საქართველოში, პარლამენტის ფუნქცია დაახლოებით იგივეა, რაც უზბეკეთში ან ჩრდილო კორეაში. ჩვენ ვნახეთ არაერთი შემთხვევა ამ წლების განმავლობაში, როცა პარლამენტი პრაქტიკულად მოქმედებდა, როგორც აღმასრულებელი ხელისუფლების მარიონეტი. აქედან გამომდინარე, მის შემადგენლობაში მკლავჭიდელები იქნებიან თუ კემბრიჯის კურსდამთავრებულები, ეს დიდ გავლენას საქართველოს პოლიტიკურ პროცესზე არ მოახდენს.

***— ამბობენ, რომ საგრძნობლად გაესვა ხაზი უცხოურ განათლებას და საზოგადოებაში ამ თემამაც გამოიწვია უკმაყოფილება. ამაზე რას იტყვით?***

— მე ვფიქრობ, ეს არის ქაჯობის ერთ-ერთი ნაირსახეობა. ადრე რომ ამაყობდნენ, მოსკოვში ნაყიდი ტანსაცმელი ეცვათ და ეს იყო ძალიან დიდი ქაჯობა, სწორედ ასეთივე ქაჯობაა, როდესაც ადამიანები, რომლებსაც უნდათ კარგი კარიერის შექმნა, ამაყობენ იმით, რომ უცხოური დიპლომები აქვთ.

***— ჯერ მხოლოდ 15 ახალი სახე წარადგინა კვირიკაშვილმა. მთლიანად გადახალისდება „ოცნების“ სია, თუ ძველი სახეებიც დარჩებიან წამყვან პოზიციებზე?***

— ძველი სახეები დარჩებიან და თანაც დარჩებიან ამ პოზიციებზე. ჩვენ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ეს ახალი სახეები არ იქნება სიის პირველი თხუთმეტეული.

***— ანუ?***

— ანუ ამ 15 კაცის პრეზენტაცია „ოცნებამ“ ასე დელიკატურად იმიტომ გააკეთა, რომ პირველი ათეული, როგორც ჩანს, ძალიან უხერხულად გამოიყურება. სწორედ ამის გადასაფარად გააკეთეს მათ ახალი სახეების პრეზენტაცია ანუ ეს ახალი სახეები თეორიულად შეიძლება იყვნენ სიაში, ოღონდ ასეულს იქით.

***— უხერხულ სახეებში ვინ იგულისხმეთ?***

— ძველი სახეები. თუნდაც, მაგალითად, ელისაშვილის მიერ გახმაურებული, ნარკოსკანდალთან დაკავშირებული პირები და ასე შემდეგ.

***— კობახიძესა და ბესელიას გულისხმობთ?***

— დიახ, როგორც ჩანს, მათ ვერ შეელევიან.

***— დიდი აქტიურობით არც არასაპარლამენტო ოპოზიცია გამოირჩევა. სად ხართ?***

— დიახ, მართლაც შეიძლება ეს საყვედური ამომრჩევლის მხრიდან იყოს სამართლიანი. უახლოეს დღეებში ჩვენი ბლოკი დაიწყებს აქტიურ საარჩევნო კამპანიას მთელი საქართველოს მასშტაბით. თუმცა ჩვენ ვხედავთ, რომ პროცესი ჯანსაღი და სამართლიანი არ არის. მედიას და ადმინისტრაციულ რესურსს მთლიანად აკონტროლებს ორი პარტია. „ქართული ოცნება“ და ნაციონალური მოძრაობა. ბევრ საკითხში ისინი მოქმედებენ შეთანხმებულად, რაც, ბუნებრივია, რომ ოპოზიციის აქტივობას ზიანს აყენებს. ჩვენ ამ სიტუაციას შეჩვეულები ვართ, არც წინა ხელისუფლებების დროს გვქონდა უკეთესი პირობები და სწორედ ისეთ პირობებში უნდა ჩავატაროთ საარჩევნო კამპანია, რაც შეგვიქმნა ამ ხელისუფლებამ.

# „თარხან ბათირაშვილმა ცხინვალში ნახა ისეთი რამე, რაც არ უნდა ენახა“

## ისლამურმა სახელმწიფომ წითური გენერლის დაღუპვის ფაქტი დაადასტურა

შორენა მარსაგიშვილი

ბოლო თვეების განმავლობაში დასავლურმა მედიამ არაერთხელ გაავრცელა ინფორმაცია თარხან ბათირაშვილის დაღუპვის შესახებ. ეს ინფორმაცია არასდროს დადასტურებულა. გუშინ, 13 ივლისს, ისლამურმა სახელმწიფომ მისი დაღუპვის ფაქტი ოფიციალურად დაადასტურა. მათი განცხადებით, ის ერაყში, ქალაქ შირქათში ბრძოლის დროს იქნა მოკლული.

სააგენტო როიტერის ცნობით, ინფორმაცია აღნიშნულის შესახებ ტერორისტული ორგანიზაციის მხარდამჭერმა საიტმა „ამაქმა“ ოთხშაბათს გაავრცელა.

— შეიხი ომარ ალ-შიშანი ქალაქ შირქათში აღესრულა, სადაც ბრძოლაში მონაწილეობდა ქალაქ მოსულის წინააღმდეგ მტრის იერიშის მოსაგერიებლად, — წერს გამოცემა „ამაქი“.

ისლამური სახელმწიფოს მხარდამჭერები სოციალურ ქსელში ალ-შიშანის ფოტოებს ავრცელებენ და მწუხარებას გამოთქვამენ მისი დაღუპვის გამო.

13 ივლისს ამერიკულმა ტელეკომპანია სი-ენ-ენმა გაავრცელა ინფორმაცია, რომ აშშ ცდილობს დაადასტუროს, რომ ბათირაშვილი, რომელსაც პენტაგონმა „ისლამური სახელმწიფოს „ომის მინისტრი“ უწოდა, მოკლულია.

სი-ენ-ენის ცნობითვე, აშშ-ის სამხედრო თვითმფრინავები ისლამური სახელმწიფოს მთავარი მებრძოლის წინააღმდეგ იერიშებს ბოლო დღეების განმავლობაში ახორციელებდნენ.

წითური გენერლის დაღუპვის ფაქტს ეხმიანება გავლენიანი ამერიკული გამოცემა უოლ სტრეეტ ჯორნალიც.

— 13 ივლისს, ოთხშაბათს, ისლამურმა სახელმწიფომ თავისი ერთ-ერთი მაღალჩინოსანი სამხედრო მოღვაწის, მეტსახელად „ომარ ჩეჩენის“, „ჟღალწვერა ომარის“ სიკვდილი აღიარა. აღსანიშნავია, რომ ამერიკელებმა მისი დაღუპვა ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ გამოაცხადეს. აბუ-ომარ ალ-შიშანის დაღუპვის ფაქტი ისლამურ სახელმწიფოსთან დაკავშირებულმა ერთ-ერთმა საინფორმაციო სააგენტომ გაავრცელა: „იგი, როგორც მეომარი, მოწამეობრივი სიკვდილით დაიღუპა... ქალაქ მოსულთან მომხდარი საბრძოლო შეტაკების დროს“. დაგვიანებული აღიარება იმ დროს გავრცელდა, როცა ისლამური სახელმწიფო იმ ძალებთან ბრძოლაში, რომლებსაც მხარს აშშ უჭერს, მარცხს მარცხზე განიცდის და სირიასა და ერაყში სულ უფრო მეტ ტერიტორიებს ტოვებს. ამჟამად ერაყის არმია



ქვეყანაში ისლამური სახელმწიფოს უკანასკნელ ციდატელზე — ქალაქ მოსულზე შეტევისათვის ემზადება. შეიძლება ითქვას, რომ მოსულზე შეტევა ერთგვარი პრელუდიაა სირიაში დაგეგმილი ოპერაციისათვის ქალაქ რაკას წინააღმდეგ, რომელიც ამ ქვეყანაში ისლამური სახელმწიფოს უმთავრეს დასაყრდენ პუნქტს წარმოადგენს, —აღნიშნულია სტატიაში.

პუბლიკაციაში ასევე ნათქვამია, რომ ამერიკელების მიერ 4 მარტს განხორციელებული მიზანმიმართული ავიადაბომბვის დროს ერთ-ერთი ისლამისტური დაჯგუფების 13 მებრძოლი განადგურდა, მათ შორის დაიღუპა 30 წლის აბუ-ომარ ალ-შიშანიც.

ამერიკელი ჩინოვნიკების აზრით, „ომარ ჩეჩენი“ იმ ავიადაბომბვის დროს მძიმედ დაიჭრა და მოგვიანებით, რამდენიმე დღის შემდეგ გარდაიცვალა.

ბრიტანული ბი-ბი-სი-ს პუბლიკაციაში აღნიშნულია, რომ სააგენტო „ამაქისა“ და აშშ-ის მიერ გავრცელებული ინფორმაციები ალ-შიშანის დაღუპვისა თუ მძიმედ დაჭრის ადგილის თაობაზე ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან.

— პირველი იუწყება, რომ ალ-შიშანი ქალაქ მოსულთან ბრძოლის დროს დაიღუპა, მეორე კი ირწმუნება, რომ „ომარ ჩეჩენი“ მძიმედ დაიჭრა და შემდეგ გარდაიცვალა სირიის ჩრდილო-აღმოსავლეთით მომხდარი ავიადაბომბვის შედეგად, — წერს ბი-ბი-სი.

* * *

ბათირაშვილის დაღუპვის ფაქტს ადასტურებენ პანკისის ხეობაში მცხოვრები მისი ნათესავებიც.

როგორც პანკისის სათემო რადიოს ბათირაშვილის ახლო ნათესავებმა განუცხადეს, სირიიდან მათ ჯერ არავინ დაჰკავშირებია, თუმცა აქვთ სარწმუნო ინფორმაცია, რომ თარხან ბათირაშვილი ერაყში ბრძოლის დროს მოკლეს. ბათირაშვილის ოჯახში სამძიმარს ჯერ არ იღებენ.

რამდენიმე დღის წინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ საბრძოლო მოქმედებებისას დაიღუპა 26 წლის ბექხან ტოხოსაშვილი. რომელიც, ბათირაშვილის მსგავსად, წარმოშობით სოფელ ბირკიანიდან არის. როგორც პანკისის სათემო რადიო იუწყება, ტოხოსაშვილი თარხან ბათირაშვილის პირადი დაცვის წევრი იყო.

სირიაში იმყოფება თარხან ბათირაშვილის უფროსი ძმა თამაზ ბათირაშვილი, იგივე აბდურაჰმანი, რომელიც ისლამური სახელმწიფოს ერთ-ერთი მეთაურია და უშიშროების საკითხებს კურირებს.

* * *

წლების წინ თარხან ბათირაშვილი საქართველოს შეიარაღებულ ძალებში მსახურობდა. ის აგვისტოს ომშიც მონაწილეობდა. ომის დასრულებიდან მოკლე ხანში ჯარიდან გაუშვეს, მოგვიანებით კი დააპატიმრეს.

— ჩვენ მისი დაღუპვის ფაქტს არ ვადასტურებთ, ამაზე არანაირ ინფორმაციას არ ვფლობთ. შესაძლოა ალ-შიშანი მართლა დაიღუპა, მაგრამ თარხან ბათირაშვილზე იმავეს ვერ გეტყვით, — განაცხადა „ახალ თაობასთან“ საუბარში ბათირაშვილების ოჯახის ახლობელმა ზაალ კასრელიშვილმა.

ანალიტიკოსი უსაფრთხოების საკითხებში ამბობს, რომ მისი სახით საქართველოს არმიამ სერიოზული ძალა დაკარგა.

— ის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოდა. მაშინ როცა ჩვენი „ვაჟკაცების“ დიდი ნაწილი წითელი ხიდისკენ გარბოდა, ის ცხინვალში ეომებოდა რუსულ არმიას. 2008 წლის აგვისტოში ის ცხინვალიდან ყველაზე ბოლოს გამოვიდა. რამდენადაც მე ვიცი, მან იქ ისეთი რაღაც ნახა, რაც არ უნდა ენახა. სავარაუდოდ, ეს გახდა ჯარიდან მისი გათავისუფლების მიზეზი, — ამბობს კასრელიშვილი.

მისი თქმით, ნანახი იმდენად სერიოზული იყო, რომ ის ციხეში გაუშვეს.

— იმის მაგივრად, რომ მადლობა ეთქვათ, დააპატიმრეს. ისევე, როგორც სხვა პატიმრებს, მასაც ლამის ყოველდღე სცემდნენ და სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდნენ. არადა, ეს ბიჭი ვერ ხვდებოდა, რით დაიმსახურა ასეთი მოქცევა. ის ხომ საქართველოსთვის იბრძოდა, — ამბობს ბათირაშვილების ოჯახის ახლობელი.

მისი თქმით, ციხეს ბათირაშვილი არ გაუბოროტებია და არც შურისძიების გრძნობა გასჩენია.

— როგორც ნამდვილმა ვაჟკაცმა, ეს ყველაფერი ღირსეულად გადაიტანა და ციხიდან გამოსვლის შემდეგ რამდენჯერმე ცადა, ძალოვან სტრუქტურებში დაეწყო მუშაობა. მისთვის ყველა კარი დახურული აღმოჩნდა. არადა, ის ამერიკელების მიერ იყო მომზადებული და მაგარი სამხედრო იყო. მისი ყოველგვარი მცდელობა ამაო გამოდგა — ბათირაშვილი არ დააბრუნეს, — აღნიშნავს კასრელიშვილი.

მას არ სჯერა იმ ვერსიის, რომ წითური გენერალი იარაღით ვაჭრობის ბრალდებით დააკავეს.

— იარაღით მოვაჭრე რომ ყოფილიყო, ასე არ იცხოვრებდა. ერთი ჩადით პანკისში და ნახეთ მისი სახლი. მათ ოჯახს მთელი ხეობა პატივს სცემს, როგორც წესიერ და ვაჟკაც ხალხს, ისე იცნობენ. როგორც ყველა ვაჟკაცს, მასაც უჭირდა. სამსახური რომ ვერ იშოვა, რამდენიმე თვე უფულოდ იყო და საკუთარ ბოსტანში მოყვანილი კიტრითა და პომიდვრით იკვებებოდა, — ამბობს ოჯახის ახლობელი.

როგორც ზაალ კასრელიშვილი ამბობს, მის შესახებ კარგად იცოდნენ ისლამურ სახელმწიფოში.

— მისნაირ მებრძოლებს მთელ მსოფლიოში სანთლით ეძებდნენ. მასაც ჩამოაკითხეს და უამრავი ფული შესთავაზეს. ბათირაშვილმა რამდენიმე თვე იფიქრა და დათანხმდა. ისლამურ სახელმწიფოში მან რიგითი ჯარისკაცობიდან დაიწყო და შეიხობას მიაღწია. სამწუხაროა, რომ მისი ცოდნა და გამოცდილება საქართველომ არ გამოიყენა, — აცხადებს ზაალ კასრელიშვილი.

მისივე აზრით, სწორედ ბათირაშვილის დამსახურებაა, რომ აქამდე საქართველოსა და აზერბაიჯანში ისლამურ სახელმწიფოს ტერაქტები არ მოუწყვია. ამბობს, რომ მის გარდაცვალებას მანამ არ დაიჯერებს, სანამ ექსპერტიზის პასუხები არ იქნება.

კასრელიშვილი შეშფოთებულია იმის გამო, რომ საქართველოში ზოგიერთი მისი გარდაცვალების ფაქტს სიხარულით შეხვდა.

— მართლა არ მესმის, რა უხარიათ, ბათირაშვილის ვაჟკაცობა მაგათზე გადმოვა თუ რა ჰგონიათ. მისი გარდაცვალება არცერთ ქართველს არ უნდა გაუხარდეს. მისი ადგილი ისლამურ სახელმწიფოში შესაძლოა ისეთმა აგრესიულმა ჩრდილოკავკასიელმა დაიკავოს, რომელიც შევარდნაძის ხელისუფლებამ წლების წინ ძალიან გაამწარა, — ამბობს ბათირაშვილების ახლობელი.

# დიმიტრი ლორთქიფანიძე: „საქართველოს უბლოკო სტატუსის შემთხვევაში რუსეთმა სოხუმიდან და ცხინვალიდან ჯარები უნდა გაიყვანოს“

გულიკო ბალაძე

რას მოუტანს საქართველოს გაერთიანებული დემოკრატების ახალი ინიციატივა – ნატოზე უარის თქმა და საქართველოსთვის ე.წ. უბლოკო სტატუსის მინიჭება? „ახალ თაობას“ გაერთიანებული დემოკრატების ერთ-ერთი ლიდერი დიმიტრი ლორთქიფანიძე ესაუბრება.

**დიმიტრი ლორთქიფანიძე:**

– საქართველოსთვის უბლოკო სტატუსის მინიჭების შემთხვევაში საქართველო უარს განაცხადებს ნებისმიერი სამხედრო ბლოკისა თუ ალიანსის წევრობაზე, უარს განაცხადებს ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე უცხო სახელმწიფოს საჯარისო ფორმირებების დროებით ან მუდმივ დისლოკაციაზე, 1991 წლის გაეროს მიერ საერთაშორისოდ აღიარებული ტერიტორიულ ფარგლებში, რაც გულისხმობს ტერიტორიულ ერთიანობას აფხაზეთითა და ცხინვალის რეგიონით.

***– კონსტიტუციაში ცვლილება უნდა შევიდეს?***

– კონკრეტულ საკანონმდებლო წინადადებას ცალკე წარმოვადგენთ პრეზენტაციაზე. ამ კონცეფციას საზოგადოებაში დიდი დაინტერესება მოჰყვა. ღრმად ვარ დარწმუნებული, ქვეყნის მოსახლეობა მხარს დაუჭერს პროქართულ პოლიტიკას, რომელიც გულისხმობს ჩვენი ქვეყნის ინტერესებიდან გამოსვლას. უბლოკო სტატუსით ევროპის არაერთმა სახელმწიფომ ისარგებლა.

***– თუ თქვენი ინიციატივა განხორციელდება, რუსეთი ცხინვალის რეგიონიდან და აფხაზეთიდან ჯარებს გაიყვანს?***

– დიახ, რუსეთმა ჯარი უნდა გაიყვანოს 1991 წლის პოზიციებზე საქართველოს საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების გარეთ. ეს არის წინაპირობა და მნიშვნელოვანი პოლიტიკური ნაბიჯი, რომ განისაზღვროს ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პოლიტიკური ფასი. უბლოკო სტატუსით ევროპის კონტინენტზე ცხოვრების დონით ფინეთი ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული და მოწინავე სახელმწიფო გახდა.

***– ცხინვალის რეგიონისა და აფხაზეთის მისატაცებლად რუსეთმა სისხლი დაღვარა. მთელი 20 წელი იბრძოდა. 2008 წელს მთელ საქართველოს ტანკებითა და რუსული ჩექმით გადაუარა. რის სანაცვლოდ უნდა დათანხმდეს რუსეთი ჯარის გაყვანას?***

– ეს არის პოლიტიკური დიალოგის ფარგლებში განსახილველი საკითხი. აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის სრული ოკუპაციის შემდეგ, სამწუხაროდ, ნაციონალურ მოძრაობისა და „ქართული ოცნების“ პერიოდში, მიუხედავად შესაძლებლობებისა, საქართველოსა და რუსეთის პოლიტიკურ ხელმძღვანელობას შორის პირდაპირი დიალოგი მაღალ იერარქებს შორის არ დაწყებულა.



რუსეთის ფედერაციის პოლიტიკური ხელმძღვანელობის მხრიდან ასეთი შემოთავაზება იყო. შემოთავაზება დღემდე ძალაშია. ჩვენ არ გვაქვს უფლება, სახიფათო ექსპერიმენტების წინაშე დავაყენოთ ჩვენი მოსახლეობა.

***– უბლოკო სტატუსი რით განსხვავდება ნეიტრალიტეტისგან?***

– ნეიტრალიტეტის აღიარება ხდება გაეროს უშიშროების საბჭოს სახელმწიფოების მიერ, ხოლო უბლოკო სტატუსის გამოცხადების პრეროგატივა ენიჭება უშუალოდ იმ სახელმწიფოს, რომლის ხელისუფლება აცხადებს უბლოკო სტატუსს. ამ შემთხვევაში გვაქვს ინიციატივა, რომ უბლოკო სტატუსი გამოცხადდეს საქართველოს კონსტიტუციით.

ავსტრიამ მუდმივი ნეიტრალიტეტის შესახებ კანონი მიიღო 1955 წელს. მას შემდეგ ავსტრია ამ სტატუსით სარგებლობს. 1995 წელს ნეიტრალურ სახელმწიფოდ გამოცხადდა თურქმენეთი. თურქმენეთს გააჩნია განსაკუთრებით დიდი ოდენობით ენერგომატარებლების საბადოები და მიიღეს ასეთი გადაწყვეტილება. ფინეთმა უბლოკო სტატუსი გამოაცხადა საკუთარი სახელმწიფოებრივი ინტერესიდან გამომდინარე. მას ჰქონდა სისხლისმღვრელი ომები რუსეთთან. სწორი გადაწყვეტილება მიიღო და 50 წელია, დაუბრკოლებლად ვითარდება.

***– თუმცა ფინეთს ტერიტორიული პრობლემები რუსეთთან ბოლომდე არ გადაუწყვეტია და ტერიტორიის ნაწილი რუსეთს დარჩა.***

– ამ შემთხვევაში ფინეთის მაგალითის აფხაზეთთან და ცხინვალის რეგიონთან შედარება არასწორია. ფინეთმა კარელიის ნაწილი დაიბრუნა, ნაწილი კი რუსეთს დარჩა. კარელიასთან დაკავშირებით რუსეთს ჰქონდა ტერიტორიული დავა. აფხაზეთთან დაკავშირებით ტერიტორია არ არის დავის საგანი.

***– აბა, რა არის დავის საგანი?***

– რუსეთი მაქსიმალურად ცდილობდა, ამიერკავკასია საკუთარი გავლენებიდან არ გაეშვა, ნატოს ბლოკი არ მოახლოებოდა მის სამხრეთ საზღვრებს. რუსეთი ყველაფერს აკეთებდა, რომ დასავლური მილიტარისტული ძალების სამხედრო ბლოკი ნატოს სახით რუსეთის სამხრეთ საზღვარს არ მიახლოებოდა.

***– მოლდოვამ კონსტიტუციაში ჩაწერა, რომ არის ნეიტრალური სახელმწიფო, მაგრამ რუსეთი დნესტრისპირეთში დღემდე მაინც უქმნის პრობლემებს. რა გარანტიაა, რომ რუსეთი კვლავ არ გააგრძელებს ოკუპაციას, ჩვენზე ზემოქმედებას და დათმობს ოკუპირებულ ტერიტორიებს?***

– მოლდოვა არ არის ნეიტრალური სახელმწიფო. არასწორი ინფორმაცია გაქვთ. მოლდოვას ჰყავს რუმინეთის სახით ძლიერი ლობისტი ევროკავშირთან ურთიერთობის კუთხით. ამან განაპირობა ის, რომ მოლდოვამ ჩვენზე სამი წლით ადრე მიიღო ვიზალიბერალიზაცია – 2013 წელს. იგი პრაქტიკულად ინტეგრირებულია რუმინულ სივრცეში. მოლდოვის ბევრ მოქალაქეს გააჩნია რუმინული პასპორტი. ასევე დიდია მიგრაცია მოლდოვიდან. დაახლოებით მილიონ-ნახევარი ადამიანია დარჩენილი.

***– უბლოკო სტატუსი ევროინტეგრაციას გამორიცხავს?***

– არა, არაფერს გამორიცხავს, მათ შორის, არ გამორიცხავს ქვეყნის სამხედრო პარტნიორულ ურთიერთობებს მისთვის სასურველ ნებისმიერ პარტნიორთან.

***– მაგალითად, ამერიკასთან?***

– უბლოკო სტატუსი არცერთ სახელმწიფოსთან არ გამორიცხავს ინდივიდუალურ სამხედრო პარტნიორულ ურთიერთობებს. ეს არის ჩვენი პრეროგატივა, ჩვენი არჩევანი. უბრალოდ, ჩვენ ვაცხადებთ, რომ საქართველო არ იქნება მუდმივი წევრი რომელიმე სამხედრო ალიანსისა და ბლოკისა. რაც ყველაზე მთავარია, საქართველო უარს განაცხადებს მისი ქვეყნის ტერიტორიაზე რომელიმე უცხო სახელმწიფოს ჯარის განლაგებაზე (როგორც დროებით, ისე მუდმივი დისლოკაციის ფარგლებში). ეს იქნება ძალიან მნიშვნელოვანი გზავნილი.

***– რა გარანტია გაქვთ, რომ რუსეთი დათანხმდება ჯარის გაყვანას საქართველოს ტერიტორიიდან 1991 წლის პოზიციაზე?***

– პოლიტიკა არის შესაძლებლობების გაჩენის ხელოვნება. ჩვენ ვცდილობთ, საქართველოს განვითარების გრძელვადიან პერსპექტივაში გადავდგათ ის პირველი ნაბიჯები, რომლებმაც უნდა მოგვცეს გარანტია, რომ არ გამეორდეს საქართველოში ის, რაც მოხდა უკრაინაში. უკრაინამ, პრაქტიკულად, დაკარგა ყირიმის ნახევარკუნძული. აფხაზეთისა და ცხინვალის შემთხვევაშიც არსებობს გარკვეული საფრთხეები.

***– კერძოდ, რა საფრთხეები?***

– მაგალითად, ე.წ. სამხრეთ ოსეთის თვითაღიარებული ხელისუფლება ბატონი თიბილოვის მეთაურობით ძალიან ცდილობს, ოკუპირებულ ტერიტორიაზე რეფერენდუმი ჩაატაროს რუსეთთან მიერთების მოთხოვნით, მაგრამ ჯერჯერობით დადებითი გამოხმაურება რუსეთის პოლიტიკური ხელმძღვანელობისგან არ აქვს.

რთულია წარმოიდგინო იმ ხელისუფლების ადგილზე თავი, რომელსაც შეუძლია დაჯდეს მოლაპარაკების მაგიდასთან, დაიწყოს პირდაპირი პოლიტიკური დიალოგი ოკუპანტთან და ის ამას არ აკეთებს. ეს ჩემთვის, როგორც პოლიტიკოსისა და ამ ქვეყნის მოქალაქისთვის, წარმოუდგენელი და შეურაცხმყოფელია. „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის ერთ-ერთი მთავარი წინაპირობა, გარდა სამართლიანობის აღდგენისა, იყო სწორედ რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობების დალაგება. „ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ საერთოდ არაფერი გაკეთებულა.

***– რაიმე შანსი რომ ყოფილიყო ოკუპანტთან მოლაპარაკებისა, არა მგონია, უკან დაეხია საქართველოს ხელისუფლებას, მით უმეტეს, რომ სპეციალური წარმომადგენელიც კი დანიშნა და მწვავე სიტუაციებში პოლიტიკურ საკითხებსაც განიხილავენ. არა მგონია, მოლაპარაკების საკითხზე არ მოესინჯოთ ნიადაგი.***

– არ ვიცი, თქვენ რა გაძლევთ იმის საფუძველს, ადვოკატად დაუდგეთ ხელისუფლებას?

***– ადვოკატად არ ვუდგები, უბრალოდ, წარმოუდგენელია, რეალური მოლაპარაკების შესაძლებლობა იყოს და ხელისუფლებამ უარი თქვას.***

– როდესაც შენ ათეული წელია დეკლარირებ, რომ ნატოში შედიხარ, ნატოში უნდა მიგიღონ, ყოველწლიურად შეცდომაში შეგყავს საკუთარი მოსახლეობა და რეალურად ნატოს კარზე კაკუნი გრძელდება ყოველგვარი შედეგის გარეშე, გპირდებიან მაპს, მაპზე უკეთესს, არსებით პაკეტს და, საბოლოო ჯამში, საქართველო ნატოს გარეშე რჩება ანუ რჩება რეალური დახმარების გარეშე. ეს რას ნიშნავს?

***– არ გეჩვენებათ, რომ ეს ქვეყნის თავდაცვის ერთგვარი ხერხია?***

– არა. როდესაც ჩვენი კონტრიბუცია ნატოს პროგრამებთან დაკავშირებით გრძელდება იმგვარად, რომ აისაფის მისიაში უკვე 32 ჯარისკაცი დავკარგეთ, ჩვენი სამშვიდობო მისია მივლინებული გვყავდა კოსოვოსა და ერაყში. ახლა მივლინებულია აფრიკაში. 100 ათას მოსახლეზე გადათვლით, ყველაზე დიდი კონტინგენტი ჰყავდეს ავღანეთში, თუნდაც საგზაო რუკას არ ვიმსახურებთ? ნატოში მიღების კანდიდატიც რატომ ვერ ვხდებით?

ნატოს წესდება პირდაპირ კრძალავს ისეთი ქვეყნის მიღებას თავის რიგებში, რომელსაც ტერიტორიული პრობლემები აქვს. ჩვენი ტერიტორიის ნაწილი ოკუპირებულია, იქ იმყოფებიან საოკუპაციო ჯარები, რაც გამორიცხავს ჩვენს ინტეგრაციას ნატოში. ჩვენი მიზანია ქვეყნის კეთილდღეობა და არა – რომელიმე სამხედრო ბლოკის წევრობა.

***– როდესაც იმგვარ პროექტს სთავაზობთ ქვეყანას, რომ საგარეო პოლიტიკა მთლიანად იცვლება, რალაც გარანტიები ხომ უნდა გვქონდეს მეორე მხარის ანუ რუსეთისგან, რომ უარი ვთქვათ ნატოზე და დავთანხმდეთ რუსეთის შემოთავაზებას?***

– წინასწარ ვერანაირ გარანტიებზე ვერ ვისაუბრებთ, არც ვისაუბრებთ. ჩვენ მხოლოდ საკონსტიტუციო პროექტის მოქმედების გარანტიებზე ვისაუბრებთ. როდესაც ვაკეთებთ პროექტს, იქვე ვდებთ დაზღვევის ნორმებსაც. ეს ყველაფერი მას შემდეგ ამოქმედდება, რაც პირდაპირი დიალოგის ფარგლებში ჩვენს ოს და აფხაზ ძმებთან, ასევე რუსეთის ფედერაციასთან მივაღწევთ გარკვეულ კონსენსუსს ჩვენი ქვეყნის უბლოკო სტატუსით განვითარების შესახებ ფინური მოდელის მაგალითზე.

# ზაქარია ქუცნაშვილი: „ქართული ოცნება“ არჩევნების ჩატარებას მხოლოდ 15 კაცის იმედზე არ გეგმავს“



– ეს 15 კაცი არ ნიშნავს, რომ მხოლოდ მათ იმედზე გეგმავს „ქართული ოცნება“ არჩევნების ჩატარებას, – ასე შეაფასა საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა ზაქარია ქუცნაშვილმა „ქართული ოცნების“ ახალი სახეების წარდგენა.

**ზაქარია ქუცნაშვილი:**

– ეს არის ახალგაზრდების გუნდი, რომელთაც განათლება მიღებული აქვთ ევროპის და ამერიკის უნივერსიტეტებში და რაც მთავარია, მათ აქვთ კერძო და საჯარო სექტორში მუშაობის გამოცდილება.

წარმატებული მართვისთვის აუცილებელია, რომ ადამიანებს ჰქონდეთ ორივე სფეროში გამოცდილება, რადგან ორივე ამ სფეროს განსხვავებული სპეციფიკა აქვს. არიან ისეთი სფეროს წარმომადგენლები, რომლებიც არასოდეს ყოფილან მოსაზრებული საქართველოს პარლამენტის წევრთა სიაში. მაგალითად კახა კუჭავა წარმოადგენს სამთო-სამადნო ინდუსტრიის სფეროს. საქართველო ერთ-ერთი უმდიდრესი ქვეყანაა სასარგებლო წიაღისეულით, უბრალოდ არც ერთი ხელისუფლება ამას არ ანიჭებდა მნიშვნელობას და საქართველოს უყურებდნენ როგორც მომხმარებელ ქვეყანას. ჩვენ შეგვიძლია მნიშვნელოვნად განვავითაროთ ეს ინდუსტრია.

ქუცნაშვილის თქმით, საზოგადოება კიდევ უნდა ელოდეს დაახლოებით 70-80 ადამიანს, რომლებიც წარმოდგენილი იქნებიან მაჟორიტარული და პროპორციული წესით ასარჩევ პირთა სიაში.

რაც შეეხება კითხვას იმის შესახებ, იქნება თუ არა ის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი, ან სიის წარმომადგენელი, ქუცნაშვილმა უპასუხა, რომ „ჟურნალისტებს კითხვები აღარ აქვთ და იმიტომ იმეორებენ ერთსა და იმავე შეკითხვებს, რადგან ამ თემაზე ის საუბარს არ აპირებს“.

ქუცნაშვილის ინფორმაციით, „ქართული ოცნება“ 18 ივლისს დაიწყებს რეგიონებში მაჟორიტარობის კანდიდატების წარდგენას.

რაც შეეხება „ქართული ოცნების“ განცხადებას იმის შესახებ, რომ პარტიის ახალი წევრების წარდგენაზე ავთანდილ მარგიანი მიწვეული არ იყო, ქუცნაშვილმა უპასუხა, რომ „ქართველები სტუმართმოყვარე ხალხი ვართ და ამაზე ქართული ენერგია არ უნდა დაიხარჯოს“.

**ინტერპრესნიუსი**

# პრეზიდენტმა აჭარის მთავრობის თავმჯდომარის თანამდებობაზე ზურაბ პატარაძის კანდიდატურა წარადგინა



საქართველოს პრეზიდენტმა ზურაბ პატარაძე აჭარაში პრეზიდენტის რწმუნებულად დანიშნა. ამის პარალელურად, ქვეყნის პირველმა პირმა პატარაძის კანდიდატურა აჭარის უმაღლეს საბჭოს რეგიონის მთავრობის თავმჯდომარის პოსტზე წარუდგინა. პრეზიდენტი იმედოვნებს, რომ აჭარის უმაღლესი საბჭო აღნიშნულ კანდიდატურას მხარს დაუჭერს.

– საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ არჩილ ხაბაძემ გააკეთა პოლიტიკური განცხადება თანამდებობიდან წასვლასთან დაკავშირებით. ეს პოლიტიკური განცხადება განპირობებული იყო იმ ინტენსიური საარჩევნო კამპანიით, რომელშიც ბატონი არჩილი აპირებს ჩაბმას. მე, მთავრობის მეთაურმა და მინისტრებმა მომმართეს შესაბამისი განცხადებით, რომელიც დავაკმაყოფილე და კონსტიტუციის და კანონმდებლობის შესაბამისად, მთავრობასთან კონსულტაციის გზით, აჭარაში დავნიშნე პრეზიდენტის რწმუნებული და მისი ადმინისტრაცია.

ამ დანიშვნისთანავე, მე დავიწყე კონსულტაციები აჭარის უმაღლესი საბჭოს ფრაქციებთან ხსენებული კანდიდატის – ზურაბ პატარაძის წარდგენასთან დაკავშირებით. ახლა უკვე შესაბამისი წარდგინება გადაგზავნილია აჭარის უმაღლეს საბჭოში. წარმოებული კონსულტაციების შედეგად, მე მაქვს იმის მტკიცე რწმენა, რომ აჭარის უმაღლესი საბჭო ახალ კანდიდატურას, რომელიც არის გავლილი ფრაქციებთან და რომელიც წარდგენილ იქნა კონსტიტუციის შესაბამისად, მთავრობასთან კონსულტაციით, აჭარის უმაღლესი საბჭო უახლოეს მომავალში დაამტკიცებს, – განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა.

აჭარის მთავრობის თავმჯდომარე არჩილ ხაბაძემ თანამდებობა გასულ კვირას დატოვა. ის არჩევნებში გეგმავს მონაწილეობას.

**ინტერპრესნიუსი**

გახდომა-გასუქება 5-20 კგ-ით თვეში!

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე.

ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

# კობა დავითაშვილის ცემა სპეცრაზმელებს ზურაბ ადეიშვილმა დაავალა



პროკურატურამ კობა დავითაშვილის ცემისა და თავისუფლების უკანონო აღკვეთის ფაქტზე ზურაბ ადეიშვილი პასუხისგებაში მისცა. საქართველოს მთავარი პროკურატურის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტმა 2007 წლის 7 ნოემბრის საპროტესტო აქციის დროს კობა დავითაშვილის ცემისა და მისი თავისუფლების უკანონო აღკვეთის საქმე გახსნა.

პროკურატურის ინფორმაციით, ჩატარებული გამოძიებით დადგენილია, რომ კობა დავითაშვილის თავისუფლების უკანონო აღკვეთა და ნაცემ მდგომარეობაში გორის სამხედრო ჰოსპიტალში გადაყვანა განხორციელდა სპეცდანიშნულების რაზმის წევრების მიერ, საქართველოს ყოფილი გენერალური პროკურორის ზურაბ ადეიშვილის და ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის უფროსის ყოფილი მოადგილის დავით ქარსელაძის დანაშაულებრივი გეგმითა და ორგანიზებით.

– კერძოდ, დადგენილია, რომ 2007 წლის ნოემბერში, ქ. თბილისში რუსთაველის გამზირზე მიმდინარეობდა ოპოზიციის მიერ ორგანიზებული საპროტესტო აქციები. საქართველოს იმჟამინდელმა გენერალურმა პროკურორმა ზურაბ ადეიშვილმა, თავისთან კაბინეტში დაიბარა ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის უფროსის მოადგილე დავით ქარსელაძე და დაავალა, რომ მისდამი დაქვემდებარებულ სპეცდანიშნულების რაზმსა და ოპერატიულ დანაყოფებს გაეკონტროლებინათ ისეთი ხალხმრავალი ადგილები, როგორიც იყო „ელიავას“, „ვაგზლისა“ და „ლილოს“ ბაზრობები და ადგილზე ოპოზიციის ლიდერების გამოჩენისთანავე აღეკვეთათ მათი მხრიდან ბაზრობის ტერიტორიაზე აგიტაციისა და მიტინგზე წასასვლელად ხალხის მობილიზების ფაქტები.

ზურაბ ადეიშვილისგან მიღებული დავალების შესაბამისად, დავით ქარსელაძემ, 2007 წლის 7 ნოემბერს, დილის საათებიდან შემოსავლების სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის სპეცდანიშნულების რაზმის წევრები „ელიავას ბაზრობის“ მიმდებარე ტერიტორიაზე გადაანაწილა, სადაც მალევე აქციის ერთ-ერთი ორგანიზატორი კობა დავითაშვილი მხარდამჭერებთან ერთად ელექტროგენერატორის შესაძენად მივიდა, რომელიც აქციის ორგანიზებისთვის ესაჭიროებოდათ.

მას შემდეგ, რაც სამართალდამცავებმა კობა დავითაშვილი შენიშნეს, შემოსავლების სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის სპეცრაზმის უფროსმა ედიშერ კობახიძემ ამის შესახებ დავით ქარსელაძეს აცნობა, რომელიც თავის მხრივ შემდგომი მითითების მისაღებად ზურაბ ადეიშვილს დაუკავშირდა, რომლისგანაც მიიღო დავალება, რომ თავისუფლება აღეკვეთათ კობა დავითაშვილისთვის და გადაეყვანათ საგამოძიებო სამსახურის შენობაში. ამ დავალების შესაბამისად, ედიშერ კობახიძემ მის დაქვემდებარებაში მყოფ სპეცრაზმელებთან ერთად, ძალადობის გამოყენებით კობა დავითაშვილი იძულებით ჩასვა იქვე მდგარ თეთრი ფერის „ფორდის“ მარკის ავტომობილში, რის შემდეგაც გაერიდნენ ბაზრობის ტერიტორიას. ვინაიდან, კობა დავითაშვილს თავისუფლების აღკვეთისას, თავის არეში მიღებული ჰქონდა დაზიანებები და მოსდიოდა სისხლი, ედიშერ კობახიძე მობილური ტელეფონით დაუკავშირდა კვლავ დავით ქარსელაძეს, რომლის დავალებითაც, გატაცებული და ნაცემი კობა დავითაშვილი ნაცვლად საგამოძიებო სამსახურისა, გადაიყვანეს გორის ჰოსპიტალში, სადაც იგი მოთავსებული იყო მომდევნო დღის 08 საათამდე.

აღნიშნულ საქმეზე, თავისუფლების უკანონო აღკვეთის ორგანიზების და სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ბრალდებით სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცნენ ზურაბ ადეიშვილი, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის უფროსის ყოფილი მოადგილე დავით ქარსელაძე და ფინანსთა სამინისტროს სპეცდანიშნულების რაზმის ყოფილი უფროსი ედიშერ კობახიძე.

როგორც პროკურორმა აღნიშნა, დავით ქარსელაძე და ედიშერ კობახიძე სრულად თანამშრომლობენ გამოძიებასთან და ისინი დაკავებულები არ არიან.



– დავით ქარსელაძე და ედიშერ კობახიძე იმყოფებიან საქართველოში. მათ უკვე წარედგინათ ბრალდება და ისინი სრულად თანამშრომლობენ გამოძიებასთან და ამხელენ მაშინდელ გენპროკურორ ზურაბ ადეიშვილს, – განაცხადა კოკა კაციტაძემ.

– საქმე, როგორც ბრალდების დადგენილებიდან ჩანს, აგებულია მხოლოდ ერთი მოწმის ჩვენებაზე. ეს არის შემოსავლების სამსახურის უფროსის მოადგილე დავით ქარსელაძის ჩვენება. მხოლოდ ეს ერთი პირდაპირი მოწმის ჩვენებაა, რომელსაც ეყრდნობა პროკურატურა. თვითონ ჩვენების შინაარსი არ ვიცი, მაგრამ, როდესაც ერთ მოწმეზეა აგებული სისხლის სამართლის საქმე, ეს, ბუნებრივია, პრობლემაა, – განუცხადა „ინტერპრესნიუსს“ ზურაბ ადეიშვილის ადვოკატმა.

საქმეზე გრძელდება გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 25-ე, 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და 333-ე მუხლის პირველი ნაწილით, რაც სასჯელის სახედ და ზომად ითვალისწინებს 7-დან 10 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას, – აცხადებენ პროკურატურაში.

– ჩემი ცემის საქმეზე ადეიშვილი შუალედური რგოლია, გადაწყვეტილება სააკაშვილის მიერაა მიღებული, – აცხადებს კობა დავითაშვილი. მისი განცხადებით, მისი ცემის საქმის გამოძიების მსვლელობით კმაყოფილი ვერ იქნება, რადგან საქმის ძიება საკმაოდ გაჭიანურდა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ დავითაშვილმა განუცხადა, ძიება აქტიურად 2016 წლის გაზაფხულზე განახლდა და ამ პერიოდში მას ჰქონდა პროკურატურასთან კომუნიკაცია.

კობა დავითაშვილი მიიჩნევს, რომ მისი ცემის ფაქტზე პასუხისგებაში მიცემული ზურაბ ადეიშვილი „შუალედური რგოლია და გადაწყვეტილება მიხეილ სააკაშვილის მიერაა მიღებული“.

**კობა დავითაშვილი:**

– კმაყოფილება გამოძიების მსვლელობის მიმართ არ მაქვს, იმიტომ რომ ძალიან გაჭიანურდა საქმე. ძნელია იყო კმაყოფილი იმის გამო, რომ საქმე ასე გვიან გაიხსნა, მაგრამ სჯობს გვიან ვიდრე არასდროს.

რაც შეეხება იმას, რომ ადეიშვილმა მიიღო ეს გადაწყვეტილება, მე მაინც მგონია, რომ ადეიშვილი შუალედური რგოლია და გადაწყვეტილება მიხეილ სააკაშვილმა მიიღო, ამიტომ მისი პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დადგეს. მაგრამ ვერ დადგება, ალბათ, სანამ ადეიშვილს არ დააკავებენ და არ დაკითხავენ. მე ასე მგონია, რომ ადეიშვილის საშუალებით გავლენ სააკაშვილზე.

**ინტერპრესნიუსი**

მაგთიკომი
MAGTICOM

# 100-მილიონიანი (აშშ დოლარი) ინვესტიცია მაგთიკომის წილად

European Bank
for Reconstruction and Development

## ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი მაგთიკომს საქართველოს რეგიონებში ფართოზოლოვანი კავშირის განვითარებაში დაეხმარება

**გუშინ კომპანია მაგთიკომმა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომლის თანახმადაც, მაგთისEBRD-მა 100-მილიონიანი კრედიტი გამოუყო. კრედიტის ნაწილით კავკასუსის მაგთიკომთან ასიმილირების ხარჯები დაიფარება, ხოლო დარჩენილი ნაწილი საქართველოს რეგიონებში ფართოზოლოვანი კავშირის განვითარებაში დაიხარჯება.**

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის სტრატეგიული გეგმა იმ ქვეყნებში, სადაც იგი ინვესტირებას ახდენს, საქართველოს ჩათვლით, სამი პრიორიტეტით ხასიათდება: ეკონომიკური მოქნილობა, გლობალურ გამოწვევათა მიღება და რეგიონული ინტეგრაციის ხელშეწყობა. ალბათ, იშვიათად მოიძებნება ერთდროულად სამივე პრიორიტეტზე ისე ზუსტად მორგებული პროექტი, როგორიც რეგიონებში ფართოზოლოვანი კავშირის განვითარებაა. ალბათ, ამიტომაც, თვით ევროპის ბანკმაც კი საოცრად სწრაფად მიიღო 100-მილიონიანი ინვესტირების გადაწყვეტილება. თუმცა, როგორც **ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის კავკასიის მოლდოვაისა და რეგიონული დირექტორი ბრუნო ბალვანერა** აცხადებს, მოხარულია მაგთიკომთან და მის პროფესსიონალ თანამშრომლებთან მუშაობით, სწორედ მათი ოპერატიულობისა და პროფესიონალიზმის დამსახურებაა, რომ სახელშეკრულებო საკითხები უმოკლეს ვადებში გადაწყდა:

„ეს პროექტი ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიერ ქვეყნის ეკონომიკის ინტეგრირების მოცულობის კიდევ ერთი ნიმუშია. საქართველო მზარდი ეკონომიკის ქვეყანაა, სადაც რეგიონებს უფრო მჭიდრო საინფორმაციო კავშირი ესაჭიროებათ. „მაგთიკომი არის ერთ-ერთი ლიდერი და წარმატებული კომპანია საქართველოში, ხოლო განხორციელებული პროექტი კიდევ უფრო გააუმჯობესებს და მოდერნიზებულს გახდის მაგთიკომის სერვისს. პროფესიონალთა ორი გუნდი შეხვდა ერთმანეთს, რამაც გააადვილა კომუნიკაცია. ამიტომაც სულ მოკლე ხანში მოგვარდა საჭირო საკითხები. მაგთიკომის მაღალკვალიფიციური თანამშრომლების საშუალებით ოპერატიულად ვიღებდით ინფორმაციას ყველა დეპარტამენტიდან, რამაც გაამარტივა კიდეც მათთან მუშაობა. ჩემი აზრით, ეს არის კარგი დასაწყისი გრძელვადიანი პროექტების განსახორციელებლად. ეკონომიკაში ინვესტირების განხორციელებით ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი ქვეყანაში ინოვაციათა სტიმულირებას ცდილობს. ეს ინვესტიცია ხელს შეუწყობს მაღალხარისხოვანი მობილური ქსელის, ინტერნეტისა და ტელემაუწყებლობის პლატფორმის შემდგომ განვითარებას საქართველოს ძნელად მისადგომ რეგიონებში, რასაც მოჰყვება როგორც ადგილობრივი ეკონომიკის, ისე ზოგადად ქვეყნის კავშირგაბმულობის სექტორის წინსვლა. ჩვენ სიამოვნებით ვთანამშრომლობთ ისეთ ძლიერ პარტნიორებთან, როგორც მაგთიკომია – კომპანია, რომელიც ცნობილია კავშირგაბმულობის სეგმენტში ფართო გამოცდილებითა და კორპორაციული მართვის მაღალი სტანდარტებით.




### ბრუნო ბალვანერა: ჩვენ სიამოვნებით ვთანამშრომლობთ ისეთ ძლიერ პარტნიორებთან, როგორიც მათიკომია – კომპანია, რომელიც ცნობილია კავშირგაბმულობის სეგმენტში ფართო გამოცდილებითა და კორპორაციული მართვის მაღალი სტანდარტებით

ევრობანკის დაფინანსება საშუალებას მისცემს მაგთიკომს, შეიძინოს ახალი თაობის ინტერნეტქსელის ფიქსირებული პლატფორმა კავკასუს ონლაინისგან, თბილისის გარეთ, რეგიონებში შემდგომი გაფართოების მიზნით. მაგთიკომი, რომელიც ცნობილია ტექნოლოგიური განვითარების სწრაფვით, შეძლებს, თავის მომხმარებელს შესთავაზოს უკეთესი და უფრო მაღალსიჩქარიანი ინტერნეტი ქვეყნის მასშტაბით. მაღალხარისხიანი ინტერნეტკავშირის გაფართოება გაზრდის კონკურენციას ქართულ სატელეკომუნიკაციო ბაზარზე, უბიძგებს რა სხვა ოპერატორებს, მისდიონ ქსელისა და მომსახურების გაუმჯობესებულ ხარისხს.

**მაგთიკომის ფინანსური მენეჯერის არჩილ გომიაშვილის** განცხადებით, პირველ ეტაპზე მაგთიკომი სწრაფი ინტერნეტით 10 რეგიონში შევა და ეტაპობრივად სრულიად საქართველოს მოიცავს. მისი განცხადებით, განვითარების პირველი ეტაპი 4,5 წელს მოიცავს, თუმცა კომპანია არასდროს ჩერდება და მომხმარებელს ინოვაციებით მუდმივად ანებივრებს. ამასთანავე, ჯერ კომპანიის არცერთი პროექტი არ გაწელილა დაგეგმვის მთელ დროზე – მაგთიკომი მაგთისეული მომსახურების ხარისხის შენარჩუნებით ყველა პროექტს ვადაზე ადრე ასრულებს. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მაგთიკომს არ აქვს „შავი ხვრელები“ და კომპანიის მომსახურებაში G განვითარების ყველა ქსელია (2G, 3G, 4G, 4.5G) ამას დამატებული ფიქსირებული ტელეფონია და თანამგზავრული ტელევიზია.

„ეს ინვესტიცია ხელს შეუწყობს მობილური ქსელების, ინტერნეტისა და სატელევიზიო პლატფორმის უფრო მაღალი ხარისხის განვითარებას საქართველოს შორეულ რეგიონებში, რაც თავის მხრივ ადგილობრივი ეკონომიკისა და ქვეყნის სატელეკომუნიკაციო სექტორის გაძლიერებას გამოიწვევს. მოხარული ვართ ვიმუშაოთ ისეთ ძლიერ პარტნიორთან, როგორიც მაგთიკომია – ფართო გამოცდილებით სატელეკომუნიკაციო სექტორში და კორპორატიული მმართველობის მაღალი სტანდარტებით.

**არჩილ გომიაშვილი:** აღნიშნული პროექტი გულისხმობს სწრაფი ინტერნეტის განვითარებას. ჩვენი მიზანია, რომ საქართველოს ყველა ოჯახს მიეწოდოს ეს სერვისი. ამ ეტაპზე ტექნოლოგიურ გაუმჯობესებაზე გვაქვს აქცენტი გაკეთებული, მაგრამ დაახლოებით 4,5 წელიწადში ყველა ის რეგიონი უნდა მოვიცვათ, რომელსაც დღეს „კავკასუს ონლაინი“ ვერ ფარავს. რა თქმა უნდა, ამას დასჭირდება რამდენიმე ასეული მილიონი ლარის დამატებითი ინვესტიცია. დღესდღეობით „კავკასუს ონლაინს“ უკვე დაფარული აქვს თბილისი, ზუგდიდი, ფოთი და რუსთავი. ბაზარზე კონკურენცია გაიზრდება. „კავკასუს ონლაინს“ ხარისხის საუკეთესო ნიში ჰქონდა და ყველა ევროპულ საზომს აკმაყოფილებს, მათ შორის ხარისხს, მაგრამ, სამწუხაროდ, ფინანსური პრობლემები შეექმნა. ახლა, როცა მისი აქტივები ჩვენს ხელში აღმოჩნდა, დარწმუნებული ვართ, ჯეროვან კონკურენციას გავუწევთ სხვა მოთამაშეებს. ეს უკეთესი იქნება როგორც ქვეყნის ეკონომიკის, ისე თავად მომხმარებლისთვისაც.“

**ანა ვაჩნაძე**

# ავიგდორ ესკინი: „რუსეთთან ურთიერთობის დალაგება საქართველოს ინტერესებშია“

სოსო ზაალიშვილი

პოლიტოლოგი და პუბლიცისტი ავიგდორ ესკინი კონსერვატორული შეხედულებების ადამიანია. ის გასული საუკუნის 80-90-იან წლებში აქტიურად მუშაობდა რეიგანის ადმინისტრაციასთან, რათა აშშ-ის ხელისუფლებას ზეწოლა მოეხდინა საბჭოთა ხელმძღვანელობაზე, რომ მას ებრაელებისთვის ისრაელში გამგზავრების ნება დაერთო. „ახალი თაობა“ ავიგდორ ესკინს ესაუბრება.

***– დიდი ბრიტანეთის მოსახლეობის უმრავლესობამ, 52%-მა, უარი თქვა ევროკავშირში დარჩენაზე. თქვენი აზრით, რა იყო და რა გახდა ევროკავშირი ბრიტანეთის გარეშე?***

– ისრაელის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი აღფრთოვანებული დარჩა ბრიტანეთის რეფერენდუმის შედეგებით. ისრაელი ეროვნული სახელმწიფოა, განსაკუთრებული სულიერი მისიით. მისთვის უცხოა გლობალისტური და სეკულარული ლიბერალიზმის იდეები. არაა დასამალი, რომ ისრაელის პრემიერ-მინისტრთან დაახლოებული ორგანიზაცია „რეგავიმი“ დიდ ბრიტანეთში მუშაობდა ადგილობრივ ებრაულ და არა მარტო თემთან, რათა მათ მხარი სწორედ ბრიტანეთის ევროკავშირიდან გამოსვლისათვის დაეჭირათ.

ეს გასაგებიცაა, ისრაელს ბრწყინვალე ურთიერთობები აქვს ევროკავშირის წევრ ცალკეულ ქვეყნებთან, მაგრამ არც ისე კარგი ურთიერთობები გვაქვს გლობალისტურ ბრიუსელთან.

ბრიტანეთის მიერ ევროკავშირის დატოვების შემდეგ ამ ორგანიზაციაში შეიქმნება სერიოზული ვაკუუმი, რომლის შევსებასაც ვერ შეძლებს ვერც საფრანგეთი, გერმანია და რომელიმე სხვა წევრი ქვეყანა. და ეს იქნება მაგალითი სხვა ქვეყნებისთვის, რომლებშიც ასევე მომძლავრებულია იზოლაციონისტური, ცენტრიდანული პოზიციები.

***– ბრიტანეთის ახალი პრემიერი ტერეზა მეი მხარს არ უჭერდა ბრიტანეთის მიერ ევროკავშირის დატოვებას, ხოლო მის მიერ წარდგენილი და უკვე დამტკიცებული საგარეო მინისტრი ბორის ჯონსონი მკაცრად აკრიტიკებდა ბრიუსელისა და ლონდონის საიმიგრაციო პოლიტიკას. ამის გამო მას ისლამოფობადაც მიიჩნევენ. ეს რაიმე ახალი ტენდენციაა მსოფლიო პოლიტიკაში?***

– პრემიერობამდე ტერეზა მეი ბრიტანეთის შინაგან საქმეთა მინისტრი გახლდათ. ის კარგად ერკვევა სპეცსამსახურების მუშაობისა და ტერორიზმთან ბრძოლის სპეციფიკაში. ეს მას ყოველთვის აახლოებდა ისრაელთან და არა მარტო ჩვენს ქვეყანასთან, არამედ ყველა იმ ქვეყანასთან, რომელიც ებრძვის 21-ე საუკუნის ჭირს, ტერორიზმს. ჩვენ ბრიტანეთის ახალი პრემიერ-მინისტრისაგან ისრაელის პოზიციის გაგებას ველით.

***– ჩვენ ერთად ვიყავით პარიზში ანტიტერორისტულ კონფერენციაზე, სადაც შევხვდით საფრანგეთის ეროვნული ფრონტის დამფუძნებელ ჟან მარი ლე პენს. ის ამბობდა, რომ ევროკავშირი ეროვნულს ანადგურებს. მოჰყვება თუ არა ბრიტანეთის გამოსვლას ამ ორგანიზაციიდან სხვა ქვეყნების მიერ ანალოგიური ნაბიჯის გადადგმა?***

– ევროკავშირიდან გამოსვლის საკითხი ერთ-ერთი მთავარი თემა იქნება საფრანგეთში და არა მარტო საფრანგეთში უახლოეს მომავალში. ამ თემაზე საფრანგეთში უკვე არა მარტო ეროვნული ფრონტის წარმომადგენლები საუბრობენ. ხალხი სვამს კითხვას, რისთვის უნდა ვინახავდეთ ბრიუსელის ბიუროკრატიას, რომელსაც არანაირი სარგებლობა არ მოაქვს ქვეყნისთვის?! ბრიუსელს დიდი რყევები ელის.

***– ისრაელის პარლამენტმა მიიღო კანონი უცხოური არასამთავრობოების დაფინანსების გამჭვირვალობის შესახებ. ევროკავშირმა გააკრიტიკა პრემიერი ნეთანიაჰუ და ისრაელის პარლამენტი. ამის შემდეგ აღმოჩნდა, რომ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი აფინანსებდა არასამთავრობო ორგანიზაციას, რომელიც ისრაელის მთავრობის წინააღმდეგ მოქმედებდა. რას ნიშნავს ეს?***

– ისრაელის ურთიერთობა ევროკავშირთან დაახლოებით ისეთივეა, როგორიც ისრაელის ურთიერთობა იუნესკოსთან ან გაეროს ადამიანის უფლებათა კომისიასთან, ანუ უკიდურესად დაძაბული და არაკეთილისმსურველი. იქ, სადაც დიდი საერთაშორისო დონორები არიან, ეროვნულ სახელმწიფოს უჭირს სიმართლის გატანა. ამავე ტიპის ორგანიზაციაა სახელმწიფო დეპარტამენტიც და სწორედ ესაა განსხვავება სახელმწიფო დეპარტამენტსა და სენატსა და კონგრესს შორის, რომელიც არჩევითი ორგანოა და სადაც ისრაელს ბევრი მეგობარი ჰყავს.



## „ნეთანიაჰუს სურს, წინააღმდეგობა გაუწიოს მცდელობას, თავს მოახვიონ ისრაელს ფერადი რევოლუციები“

ისრაელის პრემიერი ნეთანიაჰუ ცდილობს, წინააღმდეგობა გაუწიოს მცდელობას, თავს მოახვიონ ისრაელს ფერადი რევოლუციები. დღეს ჩვენ ვიცით, რომ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი მართლაც აფინანსებდა მის პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს. ეს ძირს უთხრის სახელმწიფო დეპარტამენტისადმი ნდობას.

***– თქვენ მუშაობდით პრეზიდენტ რეიგანის გუნდთან 80-იან წლებში. პრეზიდენტობის კანდიდატი რესპუბლიკური პარტიიდან დონალდ ტრამპიც იზოლაციონისტია. ტრამპი მოითხოვს ისლამური ქვეყნებიდან ემიგრანტთა ამერიკაში შეშვების აკრძალვას, სანამ არ მოგვარდება საერთაშორისო ტერორიზმის პრობლემა. რა არის ტრამპის პოპულარობის მიზეზი?***

– ტრამპი წარმოადგენს მდუმარე ამერიკელების უმრავლესობას. დაახლოებით იგივენაირ ხალხს, როგორიც ბრიტანეთში ევროკავშირის მოწინააღმდეგეები არიან. ის არ არის იზოლაციონისტი. ის სახელმწიფოების მაღალი ხარისხის სუვერენიტეტის იდეის მხარდამჭერია და უარს ამბობს გლობალიზმის თეორიაზე. ის თანახმაა, ყოფილი საბჭოეთი რუსეთის გავლენის სფეროდ აღიაროს, აწარმოოს მოლაპარაკებები რუსეთთან ისლამურ ტერორიზმთან ერთობლივი ბრძოლის ფრონტის შესაქმნელად.

***– გკითხავთ საქართველოზეც. კარზეა მომდგარი საპარლამენტო არჩევნები და ქვეყანასა და პოლიტიკურ ისტებლიშმენტს მთელი მსოფლიო ლუპის ქვეშ აკვირდება. როგორ უნდა მოიქცეს ხელისუფლება და რითი შეუძლია დაეხმაროს საქართველოს ისრაელი, თუ ასეთი შემოთავაზება იქნება?***

– საქართველოს ეკონომიკური ვალდებულებები აქვს აღებული დასავლეთთან. თქვენს ქვეყანას მოუწევს აღებული ვალების გასტუმრება. იმისთვის, რომ ვალები გაისტუმროთ, აუცილებელია თანამშრომლობა რუსეთთან. ამერიკელები და ევროპელები ამას გაიგებენ.

რაც შეეხება ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას, საქართველოს ინტერესებშია რუსეთთან ურთიერთობების დალაგება. თქვენ შეგიძლიათ გაითვალისწინოთ ისრაელის მაგალითი. ისრაელი თანამშრომლობს აშშ-სთან, ამავდროულად, ის რუსეთის სტრატეგიული პარტნიორიცაა რეგიონში.

ნეთანიაჰუსა და პუტინის მოლაპარაკებებმა დაგვარწმუნა, რომ რუსეთის პრეზიდენტი ასრულებს ვალდებულებებს, რომლებსაც ის თავის თავზე იღებს. რუსეთთან მუშაობაა საჭირო და არა პრესით ამ ქვეყნის ხელისუფლების მოხსენიება და თან ცუდ კონტექსტში.

# ნინო ბურჯანაძე: „გამორიცხულია, კობა დავითაშვილის გატაცებაში სააკაშვილის ხელი არ ერიოს“



დემოკრატიული მოძრაობის ლიდერი ნინო ბურჯანაძე მიიჩნევს, რომ დეპუტატ კობა დავითაშვილის გატაცება და ცემა ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის გარეშე არ მოხდებოდა.

კითხვაზე, რა ინფორმაცია აქვს ამ საქმესთან დაკავშირებით, გამომდინარე იქიდან, რომ ბურჯანაძე მაშინ პარლამენტის თავმჯდომარე იყო, ის აცხადებს, რომ სხვა ინფორმაცია რომ ჰქონოდა, ვინ დაგეგმა, რა იგეგმებოდა და ა.შ. ამას აუცილებლად ეტყოდა გამოძიებას.

**ნინო ბურჯანაძე:**

– ერთადერთი, რაც შემიძლია დაგიდასტუროთ, როგორც კი გავიგე ამ საზარელი ფაქტის თაობაზე, სასწრაფოდ ჩავერთე, დავიწყე ძებნა, ვინაიდან არ ვიცოდით, სად იმყოფებოდა ბატონი დავითაშვილი. მაგრამ ის ფაქტი, რომ აღმოჩნდა თბილისიდან წაყვანილი და სამხედრო ჰოსპიტალში მოთავსებული, ძალიან სერიოზულ მტკიცებულებას წარმოადგენს.

ეს იყო ამაზრზენი ფაქტი. ჩემი კომპეტენციისა და მის ფარგლებს გარეთაც ყველაფერი გავაკეთე იმისათვის, რომ მის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას საფრთხე არ შეჰქმნოდა.

მისი თქმით, კარგია, რომ ეს საქმე გამოძიების ეტაპზეა და კარგი იქნება, თუ ობიექტური გამოძიება იქნება და ბოლომდე მიიყვანენ ამ საქმეს.

– ეს ადამიანები, ვინც ბრალდებულები არიან, უნდა დაისაჯონ კანონის სრული სიმკაცრით. ეს არ მოხდებოდა სააკაშვილის გარეშე, აბსოლუტურად გამორიცხულია. არც ერთ ქვეყანაში, ასეთი ტიპის გადაწყვეტილებები, დიქტატორულ ქვეყნებს ვგულისხმობ, როგორიც იყო საქართველო სააკაშვილის ხელში, პრეზიდენტის გარეშე არ მიიღება. ასე რომ, პასუხი უნდა აგონ სწორედ უმაღლესი თანამდებობის პირებმა და არა მხოლოდ მათ, ვინც ეს დავალება შეასრულეს.

**ინტერპრესნიუსი**

# გიორგი ბარამიძე: „ქვეყნის მშვიდობიანი გამთლიანება ევროკავშირსა და ნატოში ინტეგრაციით მიიღწევა“

ბათუმში მიმდინარე საერთაშორისო კონფერენციაზე – „საქართველოს ევროპული გზა“ „ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა გიორგი ბარამიძემ ჟურნალისტებთან საუბრისას ხაზი გაუსვა საქართველოს დეოკუპაციის საკითხს და აღნიშნა, რომ ეს საკითხი ადეკვატურად იქნება დღის წესრიგში დაყენებული.

**გიორგი ბარამიძე:**

– მოხარული ვარ, რომ კარგი ტრადიცია გრძელდება, საქართველოს მეგობრები ჩამოვიდნენ ჩვენ ქვეყანაში და გაიცნონ ვითარება უფრო ახლოს. იმედია, ეს კონფერენცია იქნება კიდევ ერთი სტიმული იმისა, რომ დაჩქარდეს საქართველოსთვის ვიზალიბერალიზაცია და, ასევე საქართველოს დეოკუპაციის საკითხი იქნება ადეკვატურად დღის წესრიგში, რაც, სამწუხაროდ, მთავრობის მიერ არ არის გაკეთებული მთელი ამ ხნის განმავლობაში.

რაც შეეხება ევროკომისართან შეხვედრას, ჩვენ ამ საკითხებზე ვისაუბრებთ ისევე, როგორც მომავალ არჩევნებზე, რათა უზრუნველვყოთ ჩვენ ქვეყანაში ნორმალური დემოკრატიული ცივილიზებული მშვიდი და მშვიდობიანი განვითარება. იმისთვის, რომ ჩვენმა ქვეყანამ




მიაღწიოს იმ მიზნებსა და ამოცანებს, რაც აქვს დასახული, ესაა ქვეყნის წინსვლა, ეკონომიკური განვითარება, სოციალური პრობლემების მოგვარება, ქვეყნის მშვიდობიანი გამთლიანება, რომელიც, რა თქმა უნდა, მიიღწევა ევროკავშირსა და ნატოში ინტეგრაციის გზაზე. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია, რომ პროცესები ცივილიზებულად და დემოკრატიულად ვითარდებოდეს, ბუნებრივია, არჩევნები საამისოდ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მომენტია. იმედია, ყველა ამ საკითხთან დაკავშირებით გვექნება ჩვენი პარტნიორების სრული ურთიერთგაგება და მხარდაჭერა.

**ინტერპრესნიუსი**

# რუსული სააგენტო РБК: ე.წ. სამხრეთ ოსეთს ჰააგის სისხლის სამართლის სასამართლოს გამოძიების ხელშეწყობა აღარ სურს

ოკუპირებულ სამხრეთ ოსეთს ჰააგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს გამოძიების ხელშეწყობა აღარ სურს. როგორც რუსული სააგენტო РБК წერს, უფლებადამცველები აცხადებენ, რომ, დაპირების მიუხედავად, ცხინვალი სასამართლოსთვის ხელშეწყობაზე უარს ამბობს.

РБК-სთან საუბარში ადგილობრივი „ჩინოვნიკები“ აცხადებენ, რომ „გამოძიებამ სამხრეთ ოსეთისთვის მიუღებელი პოლიტიკური ელფერი მიიღო“. სააგენტოსთან საუბარში ერთ-ერთი უფლებადამცველი ორგანიზაციის წარმომადგენელი გრიგორ ავეტისიანი, რომელიც ჰააგის სასამართლოსთვის 2008 წლის ომის შესახებ ინფორმაციას აგროვებს, აცხადებს, რომ მისმა ორგანიზაციამ სასამართლოსთვის ოსების საჩივრების შეგროვება დაიწყო, რა მიზნითაც მიმდინარე თვეს ოკუპირებულ ტერიტორიას ეწვია.




გრიგორ ავეტისიანის ცნობით, ადგილობრივი ჩინოვნიკები ორგანიზაციის მუშაობის ხელშეწყობისგან თავს იკავებდნენ.

ოკუპირებულ ტერიტორიაზე ხუთდღიანი ვიზიტის დროს უფლებადამცველს საჩივრებით 15-მა ადამიანმა მიმართა, რომლებსაც პარალელურად საჩივრები სტრასბურის სასამართლოში აქვთ შეტანილი.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში აღნიშნულ საკითხზე РБК-სთვის კომენტარის მიცემისგან თავი შეიკავეს.

**ინტერპრესნიუსი**

# გიორგი მარგველაშვილი: „აჭარაში უმაღლესი ევროპული სტანდარტის არჩევნები უნდა ჩატარდეს“

– მინდა მადლობა ვუთხრა არჩილ ხაბაძეს იმ საქმიანობისთვის, რომელიც წლების განმავლობაში განახორციელა, – განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა.

საქართველოს პრეზიდენტმა ზურაბ პატარაძე აჭარაში პრეზიდენტის რწმუნებულად დანიშნა. ამის პარალელურად, ქვეყნის პირველმა პირმა პატარაძის კანდიდატურა აჭარის უმაღლეს საბჭოს მთავრობის თავმჯდომარის პოსტზე წარუდგინა.

– მე დღეს დავდივარ აჭარაში, რომელიც სავსე არის ტურისტებით; სავსე არის ძალიან შთამბეჭდავი ახალი პროექტებით და მე მინდა ვუსურვო ბატონ ზურაბ პატარაძეს ამ მნიშვნელოვანი მისიის გაგრძელება, – განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა.

ზურაბ პატარაძისადმი პრეზიდენტის კიდევ ერთი გზავნილი აჭარაში არჩევნების უმაღლეს დონეზე ჩატარებაა.

– ბატონ ზურაბთან, ბუნებრივია, ჩემი ძალიან მტკიცე პოზიცია და მთავარი გზავნილია, რომ აჭარაში უნდა ჩატარდეს უმაღლესი ევროპული სტანდარტის არჩევნები და ასევე, ის ეკონომიკური პროცესი, რომელიც ახლა რეგიონში მიმდინარეობს და გაგრძელდება – ეს არის როგორც ტურისტული, ასევე, სასოფლო-სამეურნეო სეზონი, ეფექტურად იქნას წარმართული, – განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა.

**ინტერპრესნიუსი**

**ძვალ-სახსართა პრობლემების:**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38

ქალბატონი ქეთათო

# ტერეზა მეი მოვალეობის შესრულებას შეუდგა

## ბორის ჯონსონი საგარეო მინისტრი გახდა



ტერეზა მეი დაუნინგ-სტრიტის სახელგანთქმულ რეზიდენციაში დამკვიდრდა. მანამდე ის ინგლისის დედოფალ ელისაბედს შეხვდა.

ბრიტანეთის ისტორიაში მარგარეტ ტეტჩერის შემდეგ მეი მეორე ქალია, რომელმაც პრემიერის სავარძელი დაიკავა.

მან უკვე დაიწყო ახალი კაბინეტის ჩამოყალიბება. ბრიტანეთის ახალი საგარეო საქმეთა მინისტრი ლონდონის ყოფილი მერი ბორის ჯონსონი გახდა.

ჯონსონი ინგლისის ევროკავშირიდან გასვლისა და რეფერენდუმის ჩატარების უმთავრესი ინიციატორია.

ჯონსონი 1964 წელს დაიბადა. მისი ბებია წარმოშობით ჩერქეზი იყო, ბაბუის მამა კი – თურქი, რომელიც თავის დროზე ბრიტანეთში გაიქცა და ინგლისის ქვეშევრდომობა მიიღო. ჯონსონმა დაამთავრა იტონის სახელგანთქმული კერძო სკოლა, შემდეგ – ოქსფორდის უნივერსიტეტთან არსებული კოლეჯი. ამჟამად ჯონსონი კონსერვატორული პარტიის წევრია.

– მე ბრიტანელი ნაციონალისტი და ევროსკეპტიკოსი ვარ, – განაცხადა მან ინტერვიუში.

როგორც ლონდონის მერი, ის ილაშქრებდა მიგრანტების წინააღმდეგ, საგარეო პოლიტიკაში კი გამოდიოდა ისეთ ქვეყნებთან კონტაქტების შემცირების მოთხოვნით, როგორებიცაა საქართველო, უკრაინა, მოლდოვა.

– ბრიტანეთს ასეთ ქვეყნებთან ურთიერთობა არაფერს აძლევს, პრობლემა კი ბლომად გვაქვს, – ამბობს ჯონსონი.

ტერეზა მეიმ ინტერვიუში აღნიშნა: ინგლისის ევროკავშირიდან გასვლის წინააღმდეგი ვიყავი და ვარ, მაგრამ ხალხის ნებას პატივი უნდა ვცეთ, ამიტომ ევროკავშირიდან გასვლის პროცედურაც წესისამებრ ჩატარდება. მე, როგორც პრემიერ-მინისტრი, ყველაფერს ვიღონებ საიმისოდ, რათა ეს ინგლისისათვის რაც შეიძლება ნაკლებად წამგებიანად მოხდეს.

საგარეო მინისტრად ჯონსონის დანიშვნა მოწმობს, რომ მეი სწორედ ამ ხაზის გატარებას შეეცდება.

# პოროშენკო აზერბაიჯანში ჩავიდა

უკრაინის პრეზიდენტი პეტრო პოროშენკო ოფიციალური ვიზიტით ბაქოს ეწვია. ის შეხვდა და ესაუბრა პრეზიდენტ ილჰამ ალიევს, აზერბაიჯანის პარლამენტის თავმჯდომარეს, აზერბაიჯანში არსებული უკრაინული დიასპორის წარმომადგენლებს.

შედგა უკრაინა-აზერბაიჯანის პრეზიდენტების საბჭოს სხდომა.

– ბაქოში ჩემი მეგობრის, ილჰამ ალიევის მიწვევით ჩამოვედი. აზერბაიჯანი ჩვენი უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული პარტნიორია, – თქვა პოროშენკომ.

უკრაინის პრეზიდენტმა საგანგებოდ გაუსვა ხაზი იმას, რომ აზერბაიჯანში თანამედროვე ევროპული ტიპის სახელმწიფო აშენდა. ქვეყანამ საერთაშორისო არენაზე ღირსეული ადგილი დაიმკვიდრა.

– თანამედროვე ევროპული სახელმწიფოს აშენება მჭიდროდაა დაკავშირებული დიდი აზერბაიჯანელი სახელმწიფო მოღვაწის ჰეიდარ ალიევის სახელთან, – თქვა პოროშენკომ.

ილჰამ ალიევმა, თავის მხრივ, აღნიშნა, რომ უკრაინა-აზერბაიჯანის მეგობრობა ურყევია.

– ყველა უმნიშვნელოვანეს საკითხში ჩვენი პოზიციები ერთმანეთს ემთხვევა, – თქვა ალიევმა და დაუმატა, რომ უკრაინა-აზერბაიჯანი ერთმანეთთან მომავალშიც მჭიდროდ ითანამშრომლებენ.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**



# ტერეზა მეის დაუნინგ-სტრიტზე გზა აერია



დიდი ბრიტანეთის შინაგან საქმეთა მინისტრს ტერეზა მეის, რომელიც პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე დანიშვნას ელის, სამთავრობო რეზიდენციიდან გამოსვლის შემდეგ ვერ გაერკვა, თუ რომელ მხარეს იყო გაჩერებული მისი ავტომობილი. ამის ამსახველი ვიდეორგოლი ჟურნალმა ესქვაირმა ფეისბუქში გამოაქვეყნა.

შეგახსენებთ, რომ ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის თანამდებობა დატოვა დევიდ კემერონმა და მის ადგილს სწორედ ტერეზა მეი დაიკავებს. ის ასევე, კემერონის სავარძლის გარდა, სამთავრობო იაგუარსაც ჩაიბარებს. მეი იქნება ასევე პატრონი კატა ლარისაც, რომელიც კემერონის წასვლის შემდეგ დაუნინგ-სტრიტზე დარჩება და რომელიც კვლავაც ქვეყნის მთავარი მეთაგვე იქნება.

# ჩინეთის სოფელში 39 წყვილი ტყუპი ცხოვრობს

პატარა ჩინურ სოფელში 39 წყვილი ტყუპი ცხოვრობს. ამ ფაქტმა პრესის წარმომადგენლების ყურადღება მიიპყრო. ზუსტად არ არის ცნობილი დასახლების სახელი. ზოგიერთი მონაცემით, სოფლის სახელწოდებაა ცინიანი, სხვა მონაცემით კი – ცზიანცზინი.

– თუ თქვენ სოფელ ცინიანს გიგანტურ სარკედ მიიჩნევთ, არ შეცდებით, – წერს ერთ-ერთი ჩინური სააგენტო.

„ტყუპების სოფელში სულ 367 მეურნეობაა. ყველაზე ხნიერი ტყუპების ასაკი 89 წელს შეადგენს, ხოლო ყველაზე უმცროსების ცხრა თვეა.

აქ „ტყუპების ფენომენი“ ვრცელდება არა მხოლოდ ადამიანებზე, არამედ ქათმებზეც, რომლებიც ორგულიან კვერცხებს დებენ.

ადგილობრივმა მცხოვრებლებმა არ იციან, თუ რა არის ასეთი რაოდენობის ტყუპების გაჩენის მიზეზი. ექიმების აზრით, ეს შესაძლოა იმის გამო ხდებოდეს, რომ ახლა ქალებს უფრო ადვილად მიუწვდებათ ხელი სხვადასხვა ფერტილურ წამალსა და პროცედურაზე.






# მეთელმა ახალი ბარბი-პრეზიდენტი წარმოადგინა

კომპანია მეთელმა წარმოადგინა ახალი ბარბი-პრეზიდენტი, ამასთან, ვიცეპრეზიდენტად წარმოდგენილია არა თოჯინა კენი, არამედ კიდევ ერთი ბარბი.

ორი თოჯინასაგან შემდგარი ნაკრები რვა ვერსიადაა ხელმისაწვდომი. ისინი ერთმანეთისგან ძირითადად კანის ფერით განსხვავდებიან. ის აშშ-სა და ინტერნეტში გაყიდვაში თვის ბოლომდე გამოჩნდება. კომპლექტის ფასი 24,99 დოლარს შეადგენს.

კოლოფის უკანა კედელზე შეგეძლებათ ნახოთ წარწერა: „ახლა უკვე სულ უფრო მეტი ქალი წარადგენს საკუთარ კანდიდატურას ყველა დონის სხვადასხვა თანამდებობაზე და თქვენ დაინტერესებული ხართ, რომ სამყარო უკეთესი გახდეს?“

კომპანიაში აღნიშნეს, რომ ახალი თოჯინები აშშ-ის პრეზიდენტობის რომელიმე კონკრეტული კანდიდატის მხარდასაჭერად არ შექმნილა და იქვე დააზუსტეს, რომ ახალ თოჯინებზე მუშაობა ერთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში მიმდინარეობდა.

აღსანიშნავია, რომ პირველი „პრეზიდენტი“ ბარბი 1992 წელს იქნა გამოშვებული.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

**მკურნალობა მამაკაცებისთვის!**

**სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!**

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);
2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);
5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.
**კონსულტაცია უფასოა!**
☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: აღმაშენებლის 154.
„მწვანე ოფისი“.

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

## განცხადებები

● გიწვევთ ოფისში სამუშაოდ, აუცილებელია რუსული ენის ცოდნა. ტელ: 555-288-098.

**იყიდება**

● იყიდება მცხეთის რაიონის სოფელ ვაზიანში, (თბილისიდან ნახევარი საათის სავალზე) 1400კვ.მ საკარმიდამო მიწის ნაკვეთი, ნაკვეთი არის შემოსაზღვრული და ახლოს არის კომუნიკაციები. 1400 კვ.მ-ში ჩაყრილია საძირკველი ზომით 9X10-ზე, სოფელში არის წყალი, სინათლე, გაზი. ფასი 1კვ.მ. 3,5$; 593 50-16-08.

**მკურნალობა**

● გასახდომი ყავა!!! ხარისძირას სპეციალური ჯიშით გამდიდრებულ 3-კომპონენტიან ანტილიპიდურ კუპაჟს გააჩნია ანტიდიაბეტური თვისებები!!! მის: თამარ მეფის 27 (რკ.სადგურთან). ტელ: 577-52-88-41.

● მხოლოდ აქ! თამარ მეფის 27-ში. „პლანტა“ – ჩიყვი (კვანძოვან-კისტოზურიც!); „პლანტა-გლანდა“ – ჩირქოვანი გლანდები, ხვრინვა, გრიპის პროფილაქტიკა; „პლანტა+“ – მასტოპათია (კვანძები!), პოლიკისტოზი, ფიბრომა, უნაყოფობა; „პლანტა-7“ – წყლული, ჰეპატიტი, პროსტატიტი, ადენომა, პოტენცია. ზემოთ აღნიშნულ სერთიფიცირებულ სიროფებს გააჩნიათ ანტისიმსივნური თვისებები! ტელ: 558-59-59-82.

● ალკოჰოლიზმი, „პახმელია“, „ზაპოი“, ალკოჰოლიზმისაგან გამოწვეული ნევროზი, უძილობა, აგრესიულობა, ღვიძლის პრობლემების მოწესრიგება – მცენარეული, შედეგიანი, მეტეხისა და ბეთლემის ტაძარში ნაკურთხი პრეპარატებით. პრეპარატები შეგიძლიათ შეურიოთ ფარულად საკვებში.სიგარეტის მიტოვება მცენარეული, უსაფრთხო გარანტირებული პრეპარატით. უკუჩვენება გამორიცხულია. ტელ: 599-45-88-66; 555-45-13-45. სერთიფიკატი №53.

●სიგარეტის მწეველობაზე თავის დანებება მარტივად, ნერვული დაძაბვის, ფილტვების გაწმენდის ხარჯზე, ნიკოტინისგან დამოკიდებულების მოხსნა მცენარეული, უსაფრთხო, მაღალშედეგიანი პარასამკურნალო საშუალებით, სრულიად განსაკუთრებული შედეგიანი პროდუქტია ფიტოთერაპიაში – გარანტირებული შედეგით, ექსკლუზიურად მხოლოდ ჩვენთან. ტელ: 599-45-88-66; 555-45-13-45.

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 599-53-08-25; 295-40-58 ჯემალი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

# ფიბას მაღალჩინოსანი ოლიმპიურ კომიტეტს სტუმრობდა



საქართველოში სტუმრად იმყოფებოდა ფიბას აღმასრულებელი დირექტორი კამილ ნოვაკი, რომელსაც საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში სეოკის პრეზიდენტმა ლერი ხაბელოვმა უმასპინძლა. სტუმარს ახლდნენ საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი მიხეილ გაბრიჩიძე და გენერალური მდივანი გიორგი ქართველიშვილი.

შეხვედრაზე სტუმარ-მასპინძლებმა ისაუბრეს საქართველოში კალათბურთის შემდგომი განვითარების ხელშეწყობისთვის გადასადგმელ ნაბიჯებზე, ქართული კალათბურთის ოლიმპიურ პერსპექტივაზე.

აღსანიშნავია, რომ ნოვაკმა მაღალი შეფასება მისცა ჩვენი ეროვნული გუნდის ბოლო წლების წარმატებულ გამოსვლას ევროპის ჩემპიონატებზე, ისაუბრა ფიბას იმ პროექტებზე, რომლებიც ემსახურება ცალკეულ ქვეყნებში კალათბურთის განვითარებას.

თავის მხრივ, ლერი ხაბელოვმა აღნიშნა, რომ კალათბურთი ჩვენს ქვეყანაში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სათამაშო სახეობაა და იმედი გამოთქვა, რომ ერთიანი ძალისხმევით ჩვენი ნაკრები შეძლებს სალიცენზიო ბარიერის დაძლევას და ოლიმპიური თამაშების ფინალურ ეტაპზე გასვლას.

# საქართველოს ნაკრები 19 საფეხურით დაწინაურდა




ფიფა/კოკა-კოლას ახალ რეიტინგში საქართველოს ნაკრებმა წინ 19 პოზიციით წაიწია და ახლა 318 ქულით 118-ე ადგილზეა.

შეგახსენებთ, რომ ივნისში ჩვენმა ნაკრებმა ორი ამხანაგური მატჩი გამართა: 3 ივნისს ავსტრიულ შეკრებაზე რუმინეთთან ანგარიშით 1:5 წააგო, ხოლო 7 ივნისს სტუმრად ესპანეთის ნაკრებს ანგარიშით 1:0 სძლია. სწორედ ესპანელებთან გამარჯვებამ გამოიწვია საქართველოს ნაკრების წინსვლა.

საუკეთესო ათეულში რამდენიმე გადაადგილებაა: ევროპის ჩემპიონი პორტუგალიის ნაკრები მე-8 ადგილიდან მე-6-მდე დაწინაურდა. ტურნირის მასპინძელი და ფინალისტი საფრანგეთი კი მე-17-დან მე-7 პოზიციაზე აღზევდა. არაფერი შეცვლილა რეიტინგის პირველ ხუთეულში, რომელსაც სათავეში კვლავაც ბოლო კოპა ამერიკის ფინალისტი არგენტინის ნაკრები უდგას.

**საუკეთესო ათეული კი ასე გამოიყურება:**

1.არგენტინა – 1.585 ქულა; 2.ბელგია – 1.401; 3.კოლუმბია – 1.331; 4.გერმანია – 1.319; 5.ჩილე – 1.316; 6.პორტუგალია – 1.266; 7.საფრანგეთი – 1.189; 8.ესპანეთი – 1.165; 9.ბრაზილია – 1.156; 10.იტალია – 1.155;

2018 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე საქართველოს ნაკრების მეტოქეთაგან სერიოზული წინსვლა განიცადა უელსის ნაკრებმა, რომელიც 15 პოზიციით დაწინაურდა და მე-11 ადგილზეა. ვარდნა განიცადა ავსტრიამ, რომელიც ათეულში იყო, ახლა კი 21-ე პოზიცია უჭირავს. 2 ადგილით დაწინაურდა ირლანდია და რეიტინგში 31-ეა, 7 პოზიციით აიწია სერბეთი და 47-ე ადგილზეა, ხოლო მოლდოვამ 7 პოზიცია დაკარგა და 166-ე ადგილი უკავია.

ვლადიმირ ვაისის შეგირდები მუნდიალი 2018-ის შესარჩევს 5 სექტემბერს ავსტრიასთან მატჩით გახსნიან.

# 18 წლამდე გოგონებმა თასი და საგზური სომხებს დაუთმეს



18 წლამდე გოგონათა ევროპის ჩემპიონატის ც დივიზიონი სომხეთმა მოიგო. საქართველოს ნაკრებმა ვერ მოახერხა ფინალურ მატჩში გამარჯვება და ტიტულთან ერთად ბ დივიზიონის საგზურიც დაკარგა.

საქართველო და სომხეთი წაუგებლად მივიდნენ ფინალამდე, სადაც ფავორიტი გამოკვეთილი არ იყო, თუმცა თამაშმა საწინააღმდეგო გამოაჩინა. სომხეთის ნაკრებმა ისე დაიწყო შეხვედრა, მასპინძლებისთვის შანსი არ მიუციათ. ჩვენი მეზობლები შორი თუ ახლო დისტანციებიდან წარმატებით ესროდნენ, ხოლო ფარქვეშ ქართველებს შანსს არ უტოვებდნენ და პირველი პერიოდის ბოლოს 22:2 დაწინაურდნენ.

უფრო ცუდი ის იყო, რომ სომხებმა საგულდაგულოდ ამოკეტეს ქართველთა ლიდერი ნატალია ოთხმეზური. როგორც შემდეგ გამოჩნდა, მთელი გუნდის თამაში ერთ კალათბურთელზე ყოფილა აწყობილი და ვერანაირი სხვა გააზრებული კომბინაცია ვერ ვნახეთ.

მეორე ათწუთეულში ქართველებმა თამაში თითქოს გამოასწორეს, თუმცა ისე ვერა, რომ ჩამორჩენა შეემცირებინათ. ბოლო მეოთხედის წინ სომხები 50:15 დაწინაურდნენ და მატჩის ბედიც გადაწყვიტეს.

საბოლოოდ სომხებმა 66:32 მოიგეს და ც დივიზიონის ჩემპიონის ტიტულსაც დაეპატრონნენ. საქართველოს ნაკრებში 10-ქულიან ზღვარს ნატალი ოთხმეზური მიუახლოვდა, რომელმაც 9 ქულა მოაგროვა. ჩემპიონებს 19 ქულით დიანა რამაზიანმა ულიდერა.

მესამე ადგილისთვის მატჩში მალტამ ანდორას 71:63 აჯობა და ბრინჯაოს მედლებს დაეპატრონა.

## შედეგები

**13 ივლისი**

**ფეხბურთი**

**უეფას ჩემპიონთა ლიგა**

| | |
|---|---|
| ჟალგირისი-ასტანა | 0:0 |
| რუსენბორგი-ნორჩიოპინგი | 3:1 |
| ლუდოგორეცი-მლადოსტი | 2:0 |
| პარტიზანი-ფერენცვაროში | 1:1 |
| კრუზეიდერსი-კოპენჰაგენი | 0:3 |
| ოლიმპია-ტრენჩინი | 3:4 |
| დანდალკი-ჰაფნარფიორდური | 1:1 |

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# ყველაზე მდიდარი კლუბი ამერიკულ ფეხბურთს ჰყავს




ჟურნალმა ფორბსმა გამოაქვეყნა მსოფლიოში ყველაზე მდიდარი კლუბების სია, რომელსაც ბოლო 3 წლის განმავლობაში მადრიდის რეალი ლიდერობდა. ესპანური კლუბი რეიტინგის სათავეში აღარ არის და ის ამერიკული ფეხბურთის გუნდმა დალას კოვბოისმა ჩაანაცვლა.

კოვბოელთა ღირებულება 4 მილიარდ დოლარს შეადგენს, ხოლო რეალი 3,65 მილიარდი ღირს.

მესამე ადგილზე ბეისბოლის გუნდი ნიუ იორკ იანკია, რომლის ღირებულება 3,4 მილიარდია. ეს ერთადერთი ბეისბოლის გუნდია ათეულში, სადაც ამერიკული ფეხბურთის გუნდები ჭარბობენ.

**ათეულში ასევე შევიდნენ:** მანჩესტერ იუნაიტედი (ინგლისი, ფეხბურთი, 3,32); ნიუ ინგლენდ პეტრიოტსი (აშშ, ამერიკული ფეხბურთი, 3,2); ნიუ იორკ ნიქსი (აშშ, კალათბურთი, 3); ვაშინგტონ რედსკინსი (აშშ, ამერიკული ფეხბურთი, 2,85); ნიუ იორკ ჯაიენტსი (აშშ, ამერიკული ფეხბურთი, 2,8); ლოს ანჯელეს ლეიკერსი (აშშ, კალათბურთი, 2,7).

# გოლოვინამ ოლიმპიადაზე მსოფლიო თასის ბრინჯაო გაიყოლა




პორტუგალიის ქალაქ კოიმბრაში ბატუტზე მხტომელთა მსოფლიო თასი და ასევე ტანვარჯიშის ფესტივალი ჩატარდა, სადაც წარმატებით იასპარეზეს საქართველოს ნაკრების წევრებმა.

მსოფლიო თასზე ბრინჯაოს მედლის მოპოვება შეძლო ოლიმპიური გუნდის წევრმა ლიუბა გოლოვინამ, ფესტივალზე კი ანა ოდიშვილმა ვერცხლის მედალი აიღო.

ლიუბა გოლოვინამ წინასწარ გამოსვლაში 99.600 ქულით მე-5 ადგილი დაიკავა, ფინალში კი 2 პოზიციით წინ წაიწია და 53.820 ქულით ბრინჯაოს მედლის მოპოვება შეძლო. ტურნირის ჩემპიონი და ვერცხლის პრიზიორი ბელარუსი სპორტსმენები გახდნენ.

საქართველოს ნაკრების წევრთაგან, კოიმბრაში სინქრონულ ხტომებში გამოვიდნენ თამარ კაკაშვილი და ნანა გოგაშვილი, რომლებმაც წინასწარ ხტომებში მე-5 ადგილი დაიკავეს, საბოლოოდ კი მსოფლიო თასი მე-6 ადგილზე დაასრულეს, ვაჟებს შორის ფინალში მოსახვედრად მცირედი დააკლდა თენგიზ კოშკაძეს. მსოფლიოს თასზე გოგონათა და ვაჟთა შორის 24 ქვეყნის 80-მდე სპორტსმენი მონაწილეობდა.

ტანვარჯიშის ფესტივალზე საქართველოს სახელით ანა ოდიშვილმა და თეონა ჯანჯღავამ მოსინჯეს ძალები. მსოფლიოს ჩემპიონმა ახალგაზრდებს შორის ანა ოდიშვილმა ვერცხლის მედლის მოპოვება შეძლო, თეონა ჯანჯღავა კი მე-6 ადგილზე გავიდა.

# ამსტერდამში „მაკდონალდსის“ მომხმარებლებმა და თანამშრომლებმა იჩხუბეს

ერთ-ერთმა ბრიტანულმა გამოცემამ სოციალურ ქსელში საკუთარ გვერდზე გამოაქვეყნა ვიდეოჩანაწერი, რომელზეც ასახულია, თუ როგორ ეჩხუბება მოდურ კაბებსა და მაღალქუსლიან ფეხსაცმელში გამოწყობილი ორი ქალი „მაკდონალდსის“ თანამშრომლებს.




ინციდენტი ჰოლანდიის დედაქალაქ ამსტერდამში მდებარე ერთ-ერთ სწრაფი კვების რესტორანში მოხდა. აღსანიშნავია, რომ მას შემდეგ, რაც განაწყენებული ქალების დაშოშმინება ვერ მოხერხდა, „მაკდონალდსის“ თანამშრომლებმა პოლიცია გამოიძახეს. შემთხვევის ადგილზე მისულმა სამართალდამცავებმა მოჩხუბარი ქალები დააკავეს. რა გახდა ამ არეულობის მიზეზი, უცნობია.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# სანე სიტიში გადადის

შალკეს ახალგაზრდა შემტევი ლეროი სანე, სავარაუდოდ, მანჩესტერ სიტის რიგებს შეუერთდება. ამის შესახებ გერმანული მედია წერს.

პეპ გვარდიოლა ძალიან არის დაინტერესებული სანეს გადაბირებით და მასში 35 მილიონი ევროს გადახდას აპირებდა. როგორც ჩანს, მხარეებს შორის შეთანხმება უკვე მოხდა. წინასწარი ინფორმაციით, სანე ქალაქელებთან 4-წლიან კონტრაქტს მოაწერს ხელს. თუმცა არა 35 მილიონად – ინგლისელებს ახალგაზრდა გერმანელის გადაბირება 50 მილიონი ევრო დაუჯდებათ.



ცნობისათვის, გასულ სეზონში სანემ შალკეს მაისური 42-ჯერ მოირგო, 9 გოლი გაიტანა და 7 საგოლე გადაცემა ჩაიწერა აქტივში.

სანემ ახლახან დასრულებულ ევროპის ჩემპიონატზეც ითამაშა – იოაჰიმ ლიოვმა მხოლოდ რამდენიმე წუთი ანდო ნახევარფინალში ფრანგებთან, მაშინ როდესაც მისი გუნდი 0:2 მარცხდებოდა.

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

# დავით ზურაბიშვილი: „ნაციონალურ მოძრაობასთან თანამშრომლობა გამორიცხულია“

რესპუბლიკური პარტიის წევრ დავით ზურაბიშვილის განცხადებით, წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში პარტია გარკვეულ საკითხებზე ჩამოყალიბებული ჯერ კიდევ არ არის. როგორც ზურაბიშვილმა 14 ივლისს გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, არჩევნებამდე დიდი დრო არ დარჩა და რესპუბლიკელები ძალიან მალე გამართავენ საარჩევნო სიის, მაჟორიტარებისა და საარჩევნო პროგრამის პრეზენტაციას.

— ჯერჯერობით მხოლოდ ის არის ცნობილი, რომ დავით უსუფაშვილი საბურთალოს ოლქში მაჟორიტარ კანდიდატად იქნება წარდგენილი. გარკვეულ საკითხებზე პარტია უკვე ჩამოყალიბებულია, რაღაც საკითხები ჯერ კიდევ შესათანხმებელია. დიდი დრო არ გვაქვს. ძალიან მალე მოხდება საარჩევნო სიის, მაჟორიტარებისა და საარჩევნო პროგრამის პრეზენტაცია, — აღნიშნა ზურაბიშვილმა.

დავით ზურაბიშვილის განცხადებით, რესპუბლიკელებისთვის პრინციპულად მიუღებელია პარტიები, რომლებიც არ არიან პროდასავლური ორიენტაციის. ზურაბიშვილის თქმით, ასეთ პარტიებთან რესპუბლიკელების სტრატეგიული თანამშრომლობა არ განიხილება. ზურაბიშვილი თანამშრომლობას გამორიცხავს ნაციონალურ მოძრაობასთანაც.

— ჩვენთვის პრინციპულად მიუღებელია ის პარტიები,



რომლებიც არ არიან პროდასავლური ორიენტაციის, ამბობენ, რუსეთთან ურთიერთობის დარეგულირებაა პრიორიტეტი და ნატო რად გვინდაო. ასეთ პირებთან და პარტიებთან სტრატეგიულ თანამშრომლობას ვერ განვიხილავთ. ვინც იზიარებს იმ ღირებულებებს, რომლებიც ჩვენ გვაქვს და რეალურად დავინახავთ ამ ღირებულებების მიმართულებით კონკრეტულ სურვილებს, პარტნიორობა ყველასთან შეგვიძლია. ამ ეტაპზე პრაქტიკულად გამორიცხულია სტრატეგიულ-პარტნიორული თანამშრომლობა ნაციონალურ მოძრაობასთან, რომელიც ექსკლუზივად თავს აყენებს ერთადერთ პროდასავლურ ძალად და ამბობს, რომ ყველა დანარჩენი რუსეთის აგენტია, ასეთ ძალასთან თანამშრომლობის პერსპექტივას ვერ ვხედავ. ზოგადად, პარლამენტი არის ურთიერთთანამშრომლობისა და ოპონირების. ეს არ არის მხოლოდ საჩხუბარი და საომარი ადგილი, — განაცხადა დავით ზურაბიშვილმა.

**მედიანიუსი**

# პაატა ჯიბლაძე: „რასთან არის დაკავშირებული ლარის დევალვაციის პროცესი“

მემარცხენე ალიანსის პოლიტიკური მდივანი პაატა ჯიბლაძე ხელისუფლებასა და ეროვნული ბანკის ხელმძღვანელს მოუწოდებს, განმარტონ, რასთან არის დაკავშირებული ლარის დევალვაციის პროცესი.

როგორც პაატა ჯიბლაძემ აღნიშნა, ეროვნული ვალუტა კატასტროფულადაა გაიაფებული.

**პაატა ჯიბლაძე:**

— ლარი კვლავ კატასტროფულადაა გაიაფებული. ამის პარალელურად კი ჩვენს მეზობელ ქვეყნებში ეროვნული ვალუტის გამყარება მიმდინარეობს. ჩვენი ხელისუფლება ყოველთვის აპელირებდა იმით, რომ ლარის გაუფასურება მეზობელ ქვეყნებში ეროვნული ვალუტის გაუფასურებიდან გამომდინარეობდა. ახლა როდესაც მეზობელ ქვეყნებში ვალუტამ გამყარება დაიწყო, ჩვენთან რატომ უფასურდება?! ეს პირდაპირ ურტყამს თითოეულ იმ მოქალაქეს, რომელსაც ხელფასი ეროვნულ ვალუტაში აქვს.

ეს არის უპასუხისმგებლო დამოკიდებულება ხელისუფლებისა და ეროვნული ბანკის ხელმძღვანელების მხრიდან. გამოვიდნენ და თქვან, რა პროცესებთან გვაქვს საქმე, რადგან ლარის დევალვაცია პირდაპირ მოქმედებს ბიზნესმენებსა და მოსახლეობაზე. ამ პროცესს პირდაპირ დავარქმევ სპეკულაციურ მოქმედებას. ამ კუთხით ეროვნული ბანკი არავითარ მოქმედებას აწარმოებს.

**ინტერპრესნიუსი**



# ავსტრალიელი ბიკინის რეკლამით გამდიდრდა

ავსტრალიის ქალაქ სიდნეის მცხოვრებმა გოგონამ 10 თვეში 250 ათას დოლარზე მეტი გამოიმუშავა მას შემდეგ, რაც ბიკინისა და სხვა პროდუქციის რეკლამისთვის სოციალურ ქსელ ინსტაგრამში საკუთარი სააგენტო გახსნა.

21 წლის ნინა პერერამ საკუთარი საქმის დაწყება უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ გადაწყვიტა. გოგონა, რომელიც მანამდე ოფიციანტად მუშაობდა, სააგენტოს გახსნიდან წელიწადზე ნაკლებ დროში 120 მოდელთან და სოციალური ქსელების 200 ბლოგერთან თანამშრომლობს. მის მანეკენებს შორისაა გაბი ეპშტეინი, რომლის გვერდს სოციალურ ქსელში 1,4 მილიონზე მეტი ხელმომწერი ჰყავს.

პერერა ორგანიზებას უკეთებს თანამშრომლობას სოციალური ქსელების პოპულარულ მომხმარებლებსა და მსხვილ კომპანიებს შორის. აღსანიშნავია, რომ გოგონა ერთ სარეკლამო პუბლიკაციაში დაახლოებით სამი ათას დოლარს ითხოვს.

# ფრანგი ქალები გაპარსვის წინააღმდეგ გამოდიან



საფრანგეთში სოციალურ ქსელ ტვიტერში უკვე რამდენიმე დღეა მიმდინარეობს ქალის სხეულზე თმების მოშორების საწინააღმდეგო კამპანია.

აღსანიშნავია, რომ ყველა ქალმა, რომელსაც სურვილი აქვს ამ იდეას მხარი დაუჭიროს, საკუთარი ჩანაწერი ხეშტეგით უნდა აღნიშნოს: „პრინცესებსაც აქვთ თმები“. ამ დროისთვის ასეთი ხეშტეგების რაოდენობა ტვიტერში 25 ათასს აჭარბებს.

ამ გამოსვლის ინიციატორია 16 წლის ფრანგი გოგონა ადელ ლაბო. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მან ამ კამპანიის დაწყება სკოლაში წარმოქმნილი პრობლემების გამო გადაწყვიტა. ის სასწავლო დაწესებულებაში დაცინვის ობიექტად იქცა სხეულის გაუპარსავი ნაწილების გამო.

— ვფიქრობ, რომ საზოგადოება ქალებს დაღავს. მიმდინარეობს მასობრივი ზეწოლა ქალებზე მის სხეულზე თმების არსებობასთან დაკავშირებით, — განაცხადა ლაბომ.

ცნობილია, რომ ისეთი ქალები, როგორებიც არიან მაილი საირუსი და მადონა, უკვე ღიად გამოვიდნენ გაპარსვის წინააღმდეგ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# იაპონურმა რესტორანმა შიშვლებისთვის მომხმარებლების აწონაზე უარი თქვა

იაპონიაში პირველმა რესტორანმა შიშველი კლიენტებისთვის მის მიმართ გამოთქმული ნეგატიური კრიტიკის გამო მომხმარებლებისთვის წესებში ცვლილება შეიტანა.

დაწესებულება ამრიტა ტოკიოში აგვისტოში უნდა გაიხსნას. ადრე გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, რესტორანი თავისი პოტენციური მომხმარებლების გაზომვასა და აწონას გეგმავდა. იმ სტუმრებს, რომელთა წონა საშუალო მაჩვენებლებს 15 კილოგრამზე მეტად აღემატებოდა, დაწესებულებაში არ შეუშვებდნენ. გარდა ამისა, ასევე დაწესებული იყო ასაკობრივი შეზღუდვაც (18-დან 60 წლამდე).

რესტორნის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ათეულობით თხოვნა მიიღო წესების შერბილების მოთხოვნით. ამის შედეგად ახლა უკვე რესტორანში შესვლის უფლება მიეცემათ 20-დან 120 წლამდე ასაკის სტუმრებს, ხოლო წონაზე შეზღუდვა საერთოდ მოიხსნა.

ამავე დროს, ძალაში დარჩა აკრძალვა სვირინგებზე, ასევე მომხმარებლებს მოსთხოვენ, რომ გარშემომყოფთ სიმშვიდე და მყუდროება არ დაურღვიონ.



# ამერიკელი საკუთარი ძაღლის მოწამვლისთვის დააპატიმრეს

კალიფორნიელი ცხოველის მიმართ სასტიკი მოპყრობის ბრალდებით მას შემდეგ დააპატიმრეს,



როდესაც მისი ჩიხუახუა მეტამფეტამინით მოწამლული აღმოჩნდა.

ისაია ნათანიელ სესი ვეტერინარულ საავადმყოფოში მივიდა და თავისი ძაღლი, სახელად ჯეკ ბელურა მიიყვანა. მისი თქმით, ძაღლმა შემთხვევით ნარკოტიკი გადაყლაპა.

როგორც ჟურნალისტებს ვეტერინარმა ელისონ პოუპმა განუცხადა, ძაღლი ძალიან ცუდად იყო. ის კრუნჩხვებში ჩავარდა, გულისცემის რიტმი დარღვეული იყო. ნარკოტიკებზე სპეციალური ტესტის ჩატარებამ მისი პატრონის ნათქვამი დაადასტურა, თუმცა, მიუხედავად ექიმების რჩევისა, სესმა ცხოველის მკურნალობის გაგრძელებაზე უარი განაცხადა და დაწესებულება ძაღლთან ერთად დატოვა.

ძაღლის საცხოვრებელი პირობების შემოწმება გადაწყვიტეს პოლიციელებმა. ვეტერინარებთან ერთად სესის სახლში მისულებმა აღმოაჩინეს, რომ ჩიხუახუა თვეების განმავლობაში არ გამოჰყავდა მის პატრონს გასასეირნებლად. მას სრულებით არ უვლიდნენ, შარდის სუნი ასდიოდა, ხოლო ბრჭყალები საშინლად ჰქონდა წამოზრდილი.

ძაღლი წამოიყვანეს და სარეაბილიტაციო კლინიკაში მოათავსეს. ცხოველი ავადმყოფურად რეაგირებს სინათლესა და მკვეთრ მოძრაობებზე. მას კიდევ გარკვეული დროის განმავლობაში მოუწევს ადგილზე დარჩენა, შემდეგ კი თავშესაფარში გადაიყვანენ და ახალ პატრონს გამოუძებნიან.

# ასტროპროგნოზი

## 15 ივლისისთვის



**ვერძი** — კეთილისმყოფელი დღეა. საქმიანი კონტაქტები იღბლიანად წარიმართება. განსაკუთრებით გაგიმახვილდებათ ინტუიცია. **კურო** — დიდი ყურადღება მიაქციეთ ჯანმრთელობას. ნუ გარისკავთ. ერიდეთ არასანდო ადამიანებს, რადგან დიდია მოტყუების ალბათობა. **ტყუპები** — გიძლიერდებათ აურა, ასევე იზრდება თქვენი პიროვნული მომხიბვლელობა. კომერციულ ოპერაციებს თავი აარიდეთ. **კირჩხიბი** — მოთმინებით აღიჭურვეთ. ზედმეტი ნერვიულობა საჭირო არ არის. მეტი ყურადღება გამოიჩინეთ ბავშვების მიმართ. **ლომი** — სასიყვარულო ურთიერთობებში წარმატება გელით. ტაქტიკა სიტუაციის მიხედვით შეცვალეთ. **ქალწული** — კოლეგებისადმი ზედმეტი ნდობა უსიამოვნებას შეგამთხვევთ. მოულოდნელად ვითარება თქვენ საწინააღმდეგოდ იცვლება. **სასწორი** — პირად ცხოვრებას აგრესიულობა და ამბიციურობა გაგირთულებთ. მეორეხარისხოვან დეტალებზე ყურადღების გამახვილება არ ღირს. **მორიელი** — ენერგეტიკულად მძლავრი დღეა. ენთუზიაზმით აღსავსე ხართ. გელით ან დიდი სიყვარული, ან გრანდიოზული სკანდალი. **მშვილდოსანი** — ჯანმრთელობისთვის სახიფათო დღეა. ერიდეთ ხალხმრავალ ადგილებს. **თხის რქა** — დღეს ბევრი თქვენგანი წარმატებას მიაღწევს. კარგი იქნება, თუ ეწვევით თეატრს, დაესწრებით კონცერტს. **მერწყული** — მოულოდნელი პრობლემები კვლავ თავს იჩენს. ფინანსური მხარდაჭერა გჭირდებათ. სიამაყე დროებით დაივიწყეთ. **თევზები** — სასიცოცხლო პოტენციალი არნახულად დიდია. მოვლენებს ახლებურად აღიქვამთ. რეკომენდებულია საცხოვრებელი ადგილის შეცვლა.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი ბ

**შვეულად**: 1. მექსიკური არაყი; 2. მუნჯი კინოს ფრანგი კომიკოსი; 3. მდინარე აშშ-ში; 4. ჰოლივუდის კინორეჟისორი; 8. მიწისქვეშა საკომუნიკაციო საშუალებათა შემკრები ნაგებობა; 9. ჩრდილოეთისა და ბალტიის ზღვების დამაკავშირებელი სრუტე; 11. ძვირფასი მაჯის საათების მწარმოებელი შვეიცარიული კომპანია; 12. დედალი ჯიხვი; 14. ირლანდიური ცეკვა; 16. ქართველ მამაკაცთა ძველებური თავსაბურველი; 17. რაიონული ცენტრი გურიაში; 19. ქერისა და ჭვავისაგან მომზადებული უალკოჰოლო გამაგრილებელი სასმელი; 21. ნავსადგური უკრაინაში.

**თარაზულად**: 5. მეცნიერება ორატორული ხელოვნების შესახებ; 6. ქალაქი ავსტრიაში; 7. ესპანელი მხატვარი; 10. პარაზიტი სოკოებით გამოწვეული დაავადება; 13. ფულის ერთეული ანგოლაში; 15. გულუბრყვილო, მიამიტი ქალების როლების შემსრულებელი მსახიობი თეატრში ძველად; 18. მგალობელი ჩიტი; 20. ბეტონიტური თიხის საბადო გურიაში; 22. მევენახეობა-მეღვინეობის რაიონი საფრანგეთის აღმოსავლეთში; 23. ქალაქი სამცხე-ჯავახეთში; 24. სახელმწიფო პირინეის ნახევარკუნძულზე.



*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

# წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ბაჩანა; 2. იანუსი; 3. რიეკა; 5. ბალი; 6. ქართლი; 8. კიანტი; 11. რქაწითელი; 13. ვაუჩერი; 14. მერიოტი; 15. ჰამლეტი; 19. პაბი.

**თარაზულად:** 1. ბუდვაიზერი; 4. თამბაქო; 7. ჩამპინო; 9. კალიბრი; 10. ირისი; 12. კინტრიში; 16. დისკუსია; 17. მუხიანი; 18. ბიდსტრუპი; 20. ლორნეტი; 21. ფიცი; 22. პრესინგი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. სოკარი; 2. კარფური; 3. პამპლონა; 4. ჩიქობავა; 8. პერინიონი; 9. ადოპტაცია; 11. ბენზემა; 12. ქორო; 14. კრკა; 16. პროგრამა; 17. მონბლანი; 19. კრიშნა; 21. ლეგია.

**თარაზულად:** 5. კავასაკი; 6. ბრაზილია; 7. ტარანტული; 10. ჰოპერი; 13. მდოგვი; 15. ფრიზერი; 18. კრეოლი; 20. არიანი; 22. ჰეინეკენი; 23. ემბრიონი; 24. დილიჟანი.

# რუსუდან გლურჯიძე: „სხვისი სახლი“ 45 დღეში გადავიღეთ“

ფილმ „სხვისი სახლის“ შემოქმედებითი ჯგუფი კარლოვი ვარის საერთაშორისო კინოფესტივალიდან დაბრუნების შემდეგ მედიის წარმომადგენლებს შეხვდა.

რუსუდან გლურჯიძის ფილმი რამდენიმე დღის წინ კარლოვი ვარის საერთაშორისო კინოფესტივალზე საუკეთესო ნამუშევრად აღიარეს და ფესტივალის მთავარი პრიზით „ბროლის გლობუსით“ დააჯილდოვეს.






**რუსუდან გლურჯიძე:**

– ფილმში არის 90-იანი წლები, აფხაზეთი, ორი ოჯახი, რომელიც იძულებულია, შევიდეს სხვის სახლში და დაიწყოს სხვის მონაპოვარზე ცხოვრება.

***– თანამედროვე ფილმები სულ აფხაზეთის თემაზეა. ეს ერთგვარი მოდაა?***

– ვერ ვიტყოდი, რომ მოდაა. ეს ის თემაა, რომელზეც გავიზარდეთ. ჩვენი ვალდებულებაა ამ თემაზე საუბარი. ეს ჩვენი თაობის თემაა და, თუ იმაზე არ ვილაპარაკეთ, რაც გვაწუხებს და გვტკივა, სხვანაირად არაფერი გამოვა.

***– სამსახიობო ჯგუფზე რას იტყვით?***

– მსახიობები სულ ქართველები იყვნენ, მხოლოდ ერთი იყო რუსი და ერთიც – ბოსნიელი.

***– სად მიმდინარეობდა გადაღებები?***

– გადაღებები მიმდინარეობდა აჭარაში და ფილმს ვიღებდით 45 დღე.

***– რა თანხა დაიხარჯა „სხვისი სახლის“ შესაქმნელად?***

– ეს არის საქართველოს ეროვნული კინოცენტრის კონკურსის გამარჯვებული პროექტი. „სხვისი სახლი“ საქართველოს, რუსეთის, ხორვატიისა და ესპანეთის კოპროდუქციაა. ეროვნული კინოცენტრიდან ფილმმა მიიღო 250.000 ლარი, დანარჩენი თანხები სხვა ქვეყნებმა ჩადეს, მაგრამ ზუსტი ციფრების დასახელება არ შემიძლია. ეს უფრო პროდიუსერების პრეროგატივაა.

***– კიდევ რომელ ფესტივალებზეა მიწვეული „სხვისი სახლი“?***

– წინ ოდესის კინოფესტივალი გველოდება. სხვას ველარ ვიტყვი.

***– ქართველი მაყურებელი როდის ნახავს თქვენს ფილმს?***

– ამ ეტაპზე ამის თქმა ჯერ არ შემიძლია. შესაძლებელია – შემოდგომაზე.

***– შესაძლებელია, „სხვისი სახლი“ საქართველომ ოსკარზე წარადგინოს?***

– შესაძლოა. ქართული ნაწარმოებია... ამ სტრატეგიას პროდიუსერები განსაზღვრავენ.

## ვანესა მეი საქართველოში კონცერტს გამართავს



მსოფლიოში ცნობილი მევიოლინე ვანესა მეი საქართველოში კონცერტს გამართავს. შეკვეთილში ახლადგახსნილ ბლექ სი არენას სცენაზე ვირტუოზი მუსიკოსი კონცერტს 6 აგვისტოს ჩაატარებს.

10.000 კაცზე გათვლილი საკონცერტო დარბაზის გახსნის პატივი მსოფლიო ვარსკვლავ კრისტინა აგილერას ერგო, რომელიც საქართველოში 30 ივლისს სპეციალურად ჩამოფრინდება. გრემის ექვსგზის მფლობელი მომღერლის კონცერტზე დასასწრები ბილეთის ფასი 50-600 ლარია.

ვანესა მეი საქართველოში შეკრებილი მსმენელის წინაშე სპეციალური საკონცერტო პროგრამით წარდგება. აღიარებული მევიოლინის კონცერტზე დასასწრები ბილეთების ფასი 30 ლარიდან იწყება.

## საბალეტო დასი ამერიკაში გაემგზავრა




საქართველოს სახელმწიფო ბალეტი გასტროლებზე ამერიკაში გაემგზავრა.

საბალეტო დასს პრიმაბალერინა ნინო ანანიაშვილი ხელმძღვანელობს.

ქართველი მოცეკვავეები ჯექსონის საერთაშორისო საბალეტო კონკურსზე მაყურებლის წინაშე ერთმოქმედებიანი ბალეტების პროგრამით წარდგებიან.

ამერიკაში ქართული საბალეტო დასის მიწვევა ნინო ანანიაშვილისა და ანდრის ლიეპას მიერ ჯექსონის პრესტიჟული საერთაშორისო კონკურსის გრანპრის მიღების 30 წლის იუბილეს ეძღვნება.

ნინო ანანიაშვილი და ქართველი მოცეკვავეები ჯექსონში 16 ივლისს გამოვლენ. ამერიკაში საბალეტო დასი წარმოადგენს ბალანჩინის პროგრამასა და ბალეტებს „საგალობელი“ და „მარგარიტა და არმანი“.

## სამგლოვიარო განცხადებები



მეუღლე ელზა, დედა დინარა, შვილები ლევანი, ლუკა, რძალი მარიამი, შვილიშვილი ლიზი, სიდედრი ნუნუ ლეფსაია, ძმები რობერტი, ჯაგა, დები მადონა, მაკა, ცოლისძმები რამაზ და თორნიკე აფხაზავები, მძახლები თამრიკო და ვაჟა კურკუმულები, ახლო ნათესავები, მეგობრები და მეზობლები გაუსაძლისი გულისტკივილით იუწყებიან დიდებული მეოჯახის, საყვარელი მამის, ნათესავ-მეგობარ- მეზობლების ქომაგისა და გამკითხავის, კოლორიტული პიროვნების, ბატონი

**რომან გურამის ძე ჯოჯუას**

გარდაცვალებას.

დაკრძალვა: 17 ივლისს, დღის 3 საათზე;
მისამართი: თბილისი, გმირ კურსანტთა ქუჩა №3.

---

ზაირა ზაქრაძე-ლეფსაია, მარინა და ჯამბულ კვეკვესკირები, ლალი და მერაბ ლეფსაიები მწუხარებით იუწყებიან საყვარელი სიძის

**რომან ჯოჯუას**

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ მის ოჯახს.

---

რაჟდენ ქარდავა შვილებთან და შვილიშვილებთან ერთად გულისტკივილით იუწყება

მშვენიერი სულიერი სამყაროს მატარებელი კოლორიტული პიროვნების, ბატონი

**რომან ჯოჯუას**

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს მის ოჯახს.

---

გმირ კურსანტთა ქუჩა №3-ში მცხოვრები მეზობლები მწუხარებას გამოთქვამენ, რომ გარდაიცვალა საყვარელი მეზობელი, ჭირისა და ლხინის მოზიარე, ოქრო გულის კაცი, ბატონი

**რომან ჯოჯუა**

და თანაგრძნობას უცხადებენ მის ოჯახს.

---

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

## ბადრი ბეგალიშვილის სახლი იყიდება




საქართველოს სახალხო არტისტის ბადრი ბეგალიშვილის სახლი იყიდება. ინფორმაციას მისი შვილი, უმცროსი ბადრი ბეგალიშვილი ავრცელებს:

– იყიდება სახლი, იქ, სადაც მამაჩემი, საქართველოს სახალხო არტისტი ბადრი ბეგალიშვილი ცხოვრობდა. რა ვქნა, გამიჭირდა.

ბადრი ბეგალიშვილის ოროთახიანი ბინა დიდუბეში მდებარეობს და მისი ფასი 37.000 დოლარია.

მუსიკისა და დრამის თეატრის მსახიობი ბადრი ბეგალიშვილი არაერთი სპექტაკლიდან და ფილმიდან ახსოვს მაყურებელს. მის მიერ შექმნილი პერსონაჟები რადიკალურად განსხვავდებოდნენ სხვა მსახიობთა ნამუშევრებისგან და ამიტომ ბადრი ბეგალიშვილის გმირები მაყურებელმა განსაკუთრებულად შეიყვარა.

მსახიობი 80 წლის ასაკში 3 წლის წინ გარდაიცვალა. მისი სამივე შვილი – ზურა, ალეკო და ბადრი მსახიობები გახდნენ.

ზურა ბეგალიშვილი გასულ წელს 53 წლის ასაკში გარდაიცვალა.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## ვიქტორია ბექჰემი შვილისთვის ტუჩებში კოცნის გამო გააკრიტიკეს



ბრიტანელი მომღერალი და მოდელიერი, ინგლისელი ფეხბურთელის დევიდ ბექჰემის მეუღლე ვიქტორია სოციალურ ქსელებში მას შემდეგ გააკრიტიკეს, რაც მან ინსტაგრამში საკუთარ გვერდზე გამოაქვეყნა ფოტოსურათი, რომელზე ის იმ მომენტშია ასახული, როდესაც თავის პატარა გოგონას ტუჩებში კოცნის.

ბექჰემმა ქალიშვილ ჰარპერთან ერთად გადაღებული ფოტოსურათი, რომელსაც 9 ივლისს ხუთი წელი შეუსრულდა, საკუთარ გვერდზე ატვირთა და მას მისალოცი წერილი დაურთო. აუზში დედასთან ერთად გადაღებული სურათისთვის თანდართულ წერილში მოდელიერმა შვილს დაბადების დღე მიულოცა და სიყვარულში გამოუტყდა.

ვიქტორიას აკაუნტს სოციალურ ქსელში 11,6 მილიონზე მეტი ხელმომწერი ჰყავს. სურათის გამოქვეყნების შემდეგ ზოგიერთმა მათგანმა საკუთარი უარყოფითი დამოკიდებულება გამოხატა აღნიშნული ფოტოს მიმართ.

ინტერნეტმომხმარებლების აზრით, გოგონას მიმართ ასეთი სახით საკუთარი გრძნობების გამოხატვა ამაზრზენია.

– დედაჩემი შუბლზე მკოცნიდა, რაც ჩემთვის გაცილებით ბუნებრივია, – წერია ერთ-ერთი ხელმომწერის კომენტარში. სხვები აღნიშნავენ, რომ დედა გრძნობების ასეთი სახით გამოხატვისგან თავს უნდა იკავებდეს, ვინაიდან ის რომანტიკულ კოცნას უფრო ჰგავს, ვიდრე დედაშვილურს.

ამ ყოველივეს მიუხედავად, ფოტოსურათმა 568 ათასზე მეტი მოწონება მიიღო.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## TV პროგრამა

**ხუთშაბათი 15 ივლისი**

07.30 დ/ფ 08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00, 01.00 "მოამბე" 08.05, 09.15 "დილა" 10.10 "პირადი ექიმი" 11.00 ტ/სერ. "**ცოდვა და სირცხვილი**" 12.30 დ/ფ "ჯეიმის კერძები 30 წუთში" 13.00 ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" 14.05 "ხანმოკლე XX საუკუნე" 14.30 ან/სერ. "კუნგ-ფუ პანდას საოცარი ლეგენდები" 15.00 დ/ფ "თოფ–გიარი" 16.45 "ეკონომეტრი" 17.00 ტ/სერ. "**ბორგო ლარიჩის საიდუმლოება**" 19.00 "კომუნიკატორი" 20.50 "მთავარი თამარ ჩიქოვანთან ერთად" 21.30 ტ/სერ. "**ბეითსების მოტელი**" 22.30 "ოლიმპიური დღიური" 23.00 მხ/ფ "**ფსიქო**" 01.10 მხ/ფ "**გაზეთი**" (მ.კიტონი) 03.10 დ/ფ "ჯეიმის კერძები 30 წუთში" 03.40 "ხანმოკლე XX საუკუნე"

08.00, 12.00, 14.00, 17.00, 19.00, 21.00 "ბრიფინგის დრო" 10.00 "გეოფაქტორი" 10.15 დ/ფ "დანიელ ბურენი გრან პალეში" 10.50 დ/ფ "სონია რაკელი" 13.00 დ/ფ "ვისკის საიდუმლო" 15.00 **ჩოგბურთი** – დევისის თასის გათამაშება" ერთეულთა თანრიგი: საქართველო – ზიმბაბვე 18.00 "პატარა მომთაბარე ტომები და პოლარული სიცივე" 20.00 "მოამბე" (5 ენაზე) 22.00 დ/ფ "ნამდვილი და თვითმარქვია ჟანა" 23.00 "ნამდვილი დრო" 23.30 მხ/ფ "**ბრძოლა**"

05.00 სერ. "**დახურული სკოლა**" 06.00, 14.40 სერ. "**თანხმობა**" 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.15 ქრონიკა 07.35, 08.10, 08.35, 09.15 იმედის დილა 10.05 სერ. "**ბამბის ველი**" 11.20 სერ. "**ჟუმონგი**" 10 სერ. 12.30 დღის შოუ 17.35, 19.03 სერ. "**პატარძალი**" 20.55 სერ. "**ელიფი**" 22.00 პოლიტიკა 23.30 მხ/ფ "**სიკვდილის ორდერი**" 01.30 მხ/ფ "**ფარული მუქარა**" 03.00 მხ/ფ "**მეტი**" **ვიდრე სექსი**"

06.30 სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" 07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15 დილამშვიდობისა საქართველო 07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 10.15 სერ. "**დინასტია**" 12.30, 14.05 "შუა დღე" 15.55 სერ. "**ქარადაი - ახალგაზრდობა**" 16.55 სერ. "**ინდური საგა**" 18.45 სერ. "**ცხოვრების გზები**" 19.45, 20.05 სერ. "**შენი ზოდიაქოს ფერი**" 20.50 ლოტო 22.00 ვანოს შოუ 23.00 ქერის უბანი 23.30 სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**" 01.00, 03.30 მხ/ფ. 03.00 კურიერის დაიჯესტი

8.00 ან/სერ. "ვარსკვლავური ომები" - მეამბოხეები 9.00, 19.30 სერ. "**მენტალისტი**" 10.00, 18.30 სერ. "**კარგი ცოლი**" 11.00, 3.30 სერ. "**გრეის ანატომია**" 13.00 სერ. "**ძვლები**" 15.00 შუადღე 17.30 სერ. "**მსახიობი მამა**" 18.00 საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები 20.20 არჩევნები 2012 დაიჯესტი 20.30 20.30 22.30 სერ. "**სამეფო კარის თამაშები**" 0.00 სერ. "**საშინელი ზღაპრები**" 1.30 მხ/ფ "**საპაერო ციხე**"

06.10 მუს.პაუზა 06.15 კვირიაკე 07.20 დ/ფ 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35 ლექციები მეფუტკრეობაზე 11.25 მოკ. მხ/ფ "**ბავშვები**" 12.10 პორტრეტები 13.15 ერთხელ ბავშვობაში 13.30 "შუადღე ერთსულოვნებაზე" 14.30 დეკორატიული ფლორა "ხარისძირა" 15.00 საეკლესიო კალენდარი 15.10 ქართული ან/ფ 15.30 დ/ფ "დები ტრევისის საოცარი სახლი" 16.00 ღვთის სახლი 16.20 კონცერტი 17.15 მიწათმოქმედი "ფოკის მამათა მონასტერი" 17.30 ჩვენი საგანძური 18.10 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მხ/ფ "**რაჭა ჩემი სიყვარული**" 20.40 ძილი ნებისა "სამი მტევანი ყურძენი" 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.15 დროის ჩანაწერები 22.25 მოგზაურობა სამშობლოში 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 საუბარი მოძღვართან 23.35 დიდ ხარ შენ უფალო 00.35 მგზავრები წუთისოფლისა 01.00 "შუადღე ერთსულოვნებაზე"

მაესტრო 7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 1.30 "კონტაქტი" 7.30 ანიმაცია "ბუშტუკები" (ჟესტიკულაციით) 8.00 სერ. "**ქალთა ექიმი**" 10.05 სერ. "**ტატიანა**" 11.05 თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი" 12.00 "კონტაქტი თორმეტზე" 12.30, 18.30 სერ. "**უკანასკნელი მაგიკიანი**" 13.00, 14.05, 2.00 "**გულს ვერ უბრძანებ**" 15.00 "კონტაქტი სამზე" 15.30 სერ. "**სიყვარულის იმპერია**" 16.05, 17.05 სერ. "**კარმელიტა ბოშური ვნება**" 18.00 "კონტაქტი ექვსზე" 19.05 სერ. "**ზოგადი თერაპია**" 20.00 "კონტაქტი რვაზე" 20.45 სერ. "**ქალბატონი**" 21.40 თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი" 22.35 სერ. "**სტანიცა**" 23.30 მხ/ფ "**ვალანდერი**"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


15 ივლისისთვის

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.3527

ევრო — 2.6063

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.1253

100 რუსული რუბლი — 3.6855

## ამინდის პროგნოზი 15 ივლისისთვის





## 12 ივლისიდან

ბოლესლავ პრუსი

ფარაონი

ფასი გაზეთთან ერთად 14 ლარი




## 15 ივლისიდან

ანტუან დე სენტ-ეგზიუპერი

სამხედრო მფრინავი

ფასი გაზეთთან ერთად 11 ლარი




## 13 ივლისიდან

ორჰან ფამუქი

მდუმარე სახლი

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი




## 14 ივლისიდან

პაულო კოელიო

თერთმეტი წუთი

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი





## იუმორი



ცოლი ქმარს სამზარეულოდან გამოსძახებს:

– ძვირფასო, მოდი, ისადილე.

– რა მომიმზადე?

– ფაფა.

– რისგან?

– ხინკლისგან!

•••

ასი წლის ბებო კვდება და მღვდელი მოუყვანეს, რომ აზიაროს. მამაო ეკითხება:

– ხომ არ მოგიპარავთ?

– არა, მამაო.

– უშვერი სიტყვებით გაგილანძღავთ ვინმე?

– არა, მამაო.

– ხომ არ გიმრუშიათ?

– ეგ რას ნიშნავს, მამაო?

– მეუღლის გარდა, სხვა მამაკაცთან ხომ არ გძინებიათ?

– სხვა მამაკაცთან რა დაგაძინებს, მამაო? – ჩაეცინა ბებიას.

•••

კაცი სასტუმროს ადმინისტრატორს ეკითხება:

– თავისუფალი ნომერი გაქვთ?

– სამწუხაროდ არა. ერთადერთი ორადგილიან ნომერში გვაქვს თავისუფალი ერთი ადგილი.

– გააფორმეთ.

– იცით რაშია საქმე. მეორე ადგილის პატრონი მამაკაცი ისე ხვრინავს, რომ ვერავინ უძლებს, კედლები ზანზარებს.

– არა უშავს, გააფორმეთ.

მეორე დილით ადმინისტრატორი ეკითხება:

– როგორ გეძინათ, ხვრინვამ არ შეგაწუხათ?

– არა, მშვენივრად გამოვიძინე.

– ???

– ძილის წინ მასთან მივედი, შუბლზე ვაკოცე და ვუთხარი: „ძილი ნებისა, საყვარელო“.

– მერე?

– მე მშვენივრად მეძინა, იმას კი თვალი არ მოუხუჭავს.

•••

ღამით ცოლი ქმარს ეუბნება:

– კაცო, შე სასიკვდილე, გადმობრუნდი ახლა და ნაზად მეიქეცი.

– რატო, ქალო?

– რა იცი, იქნება ქე გვიღებენ და...

•••

ქალი კაცს ეუბნება:

– დედა, რა მაგრად გავხართ ჩემს მესამე ქმარს.

– მართლა? და რამდენი ქმარი გყავდათ?

– ორი.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ლუსიანო ვიეტო შესაძლოა ბარსელონაში აღმოჩნდეს




მადრიდის ატლეტიკოს არგენტინელი შემტევი ნახევარმცველი ლუსიანო ვიეტო შესაძლოა მომავალი სეზონიდან ბარსელონის ფეხბურთელი გახდეს.

ატლეტიკო თანახმაა, 20 მილიონ ევროდ ვიეტო დათმოს, თვითონ ლუსიანო კი ბარსელონაში თამაშზე ოცნებობს.

კატალონიელებმა უკვე რამდენიმე ტრანსფერი განახორციელეს და ბარსელონას ორი ფრანგი მცველი შეუერთდა. ამჯერად აქცენტი შემტევ ფეხბურთელზე გაკეთდება და ახალგაზრდა, ნიჭიერი ვიეტო იდეალური ვარიანტია.

ატლეტიკომდე ვიეტო ვილიარეალში თამაშობდა, სადაც ის გუნდის ერთ-ერთი ლიდერი იყო. მადრიდულ კლუბში ლუსიანომ ბოლომდე ვერ გამოავლინა თავისი პოტენციალი, თუმცა მას მთელი კარიერა წინ აქვს.

## კლოპი: „ბალოტელიმ ახალი გუნდი უნდა მოძებნოს“



ლივერპულის გერმანელმა მწვრთნელმა იურგენ კლოპმა მარიო ბალოტელიზე ისაუბრა და თქვა, რომ მარიომ ახალი კლუბი უნდა მოძებნოს. ამჟამად ბალოტელი ლივერპულთან ერთად ვარჯიშობს, მაგრამ, კლოპის თქმით, ლივერპული მას აუცილებლად გაყიდის.

გერმანელმა სპეციალისტმა აღნიშნა, რომ ბალოტელი ძალიან ნიჭიერი ფეხბურთელია, თუმცა ლივერპულში ის ვერ შეძლებს თავისი პოტენციალის გამოვლენას, ამიტომ მას ამ გუნდში მომავალი არ აქვს.

აღსანიშნავია, რომ ბალოტელის შეძენის სურვილს დიდად არცერთი გუნდი არ გამოთქვამს, ამიტომ მისი მომავალი გაურკვეველია.

## იუვენტუსმა ბაიერნის მცველი იყიდა



ბაიერნის მაროკოელი ცენტრალური მცველი მეჰდი ბენატია ტურინის იუვენტუსში გადავიდა.

ეს ინფორმაცია ტურინულმა გუნდმა ოფიციალურად დაადასტურა.

ბენატია 29 წლისაა და კარიერის დიდი ნაწილი სწორედ იტალიაში გაატარა, სადაც ჯერ უდინეზეში, შემდეგ კი რომაში თამაშობდა.

გასულ სეზონში ბენატია იშვიათად ხვდებოდა ბაიერნის ძირითად შემადგენლობაში, ამიტომ მისი წასვლა მოულოდნელი არ ყოფილა.

იუვენტუსთან მაროკოელი მცველი სამწლიან კონტრაქტს მოაწერს ხელს.

## ანდრე შურლე დორტმუნდის ბორუსიაში გადადის



ვოლფსბურგის ფორვარდი ანდრე შურლე კარიერას, სავარაუდოდ, დორტმუნდის ბორუსიაში გააგრძელებს.

შურლე თითქმის შეუთანხმდა დორტმუნდელებს პირადი კონტრაქტის თაობაზე და დეტალებიღა დარჩა მოსაგვარებელი.

შურლე ბორუსიასთან 5 წლიან კონტრაქტს მოაწერს ხელს, ხოლო სატრანსფერო ფასი დაახლოებით 25 მილიონი ევრო იქნება.

დორტმუნდის ბორუსია ბევრმა ვარსკვლავმა დატოვა, ამიტომ თომას ტუხელის გუნდი ახალი ფეხბურთელების ძიებაშია.

ანდრე შურლემ თავის დროზე ძალები ჩელსიშიც მოსინჯა, თუმცა იქ ფეხი ვერ მოიკიდა და ისევ სამშობლოში დაბრუნება ამჯობინა.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## კროსვორდი ა

**შვეულად**: 1. ფრანგი პოსტიმპრესიონისტი მხატვარი; 2. მეთოთხმეტე საუკუნის სპარსელი პოეტი; 3. კვირა დღის ძველი ქართული სახელწოდება; 5. სოფელთა სახელწოდება ესტონეთში; 6. ვიწრო გასასვლელი ძნელად მისადგომ ადგილები ტყეში, ჭაობში, მთებში; 8. ისტორიული ციხე-ქალაქი საგარეჯოს რაიონში; 11. კუჭქვეშა ჯირკვალი; 13. შემწვარი ინდაურისგან მომზადებული საშობაო კერძი ბრიტანეთში; 14. საკანცელარიო ნივთი; 15. ფრანგი მოდელიერი; 19. უკრაინის პარლამენტი.

**თარაზულად**: 1. ხელოვნების მუზეუმი ნიუ იორკში; 4. ებრაელთა რელიგიური, საყოფაცხოვრებო და სამართლის წესებისა და კანონთა კრებული; 7. ზღვისპირა კურორტი ყირიმში; 9. მინის ლაბორატორიული ჭურჭელი; 10. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი; 12. ძველბერძენი დრამატურგი; 16. მხარე გერმანიაში; 17. ლიბანის დედაქალაქი; 18. ტრიუკების შემსრულებელი მხატვრულ კინოფილმში; 20. სამწახნაგოვანი პირის მქონე იტალიური ხანჯალი; 21. თაფლგამოცლილი ფიჭა; 22. გორგოლაჭებიანი კონვეიერი.

*შეადგინა: თ.გოგინაშვილმა*




ლურჯი წითელი ყვითელი შავი